საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 29 ნოემბერი. 2019 წ. №236 (8902) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი



ნაცებს არ წააკითხოთ, მთლად განადგურდებიან!

ბიძინა ივანიშვილი: „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის ალბათობა ნული პროცენტია

„ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნების ალბათობა თეორიულადაც არ არსებობს, – ამის შესახებ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემაში „SWOT ანალიზი“ განაცხადა. **„შეუძლებელია, თეორიულადაც კი, 0%-ია ალბათობა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში მოვიდეს“.** მისი თქმით, შესაძლოა მისმა პოლიტიკაში დაბრუნებამ საზოგადოება დააბნია, მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში „ქართული ოცნების“ გუნდი ძალიან თავდაჯერებული და სტაბილური გახდა.

„გუნდები ჩამოყალიბდნენ, გამოცდილება მიიღეს, კარგი კომპლექტაცია არის. ამ ფონზე რა ნაციონალური მოძრაობა, რის ნაციონალური მოძრაობა?“ – განაცხადა ივანიშვილმა.

საზოგადოებას ეზიზღება უკვე ეს ენჯეოები!

„ეს ენჯეოები ნაცების პარალელურად მიდიან, შემთხვევით არ აქვს საზოგადოებას აგრესია. ამ დროს პირიქით უნდა იყოს“..

ბიძინა ივანიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციების „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კავშირს გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ საზოგადოების მათდამი დამოკიდებულება ამას ნათლად ასახავს.

„ნაცების“ მიერ მომართული ხალხი მართავენ ამერიკის მიერ დაფინანსებულ ენჯეოებს და სამწუხარო რეალობაა, იგივე ხდება NDI-ს და IRI-ს კვლევებში. ეს არის ძალიან სამწუხარო რეალობა. საზოგადოებას უკვე ეზიზღება, პირდაპირ მნიშვნელობით გეტყვით, რომ საზოგადოებას აგრესია აქვს უკვე ამ ტიპის ენჯეოებზე, რომლებიც წლების განმავლობაში ცრუობენ და პირდაპირი სატელიტები არიან „ნაციონალური მოძრაობის“.

ივანიშვილი არ გამორიცხავს, რომ აშშ-ის კონგრესს ან სენატს საჯარო წერილით მიმართავს, რომელშიც შექმნილი ვითარების შესახებ აცნობებს.

ნუ ურტყამთ კედელს თავს, არაფერი გამოვა

20 ივნისის ამბოხის მსგავსი რაღაც იგეგმებოდა და საკადრისი პასუხი გაეცა.

– 20 ივნისის შემდეგ გაგრძელდა სამთვიანი აქციები და ნელ-ნელა გაიშიფრა, რა უნდათ და რისთვის არიან ესენი ქუჩაში, რას ითხოვენ, რას იცავენ. გამოიკვეთა, რომ მათ პროპორციული არჩევნები არ უნდოდათ, სხვა რამ უნდათ და მარტივი ასახსნელია, რა უნდათ. როგორც ჰქონდათ ბელადისადმი მიმართება. ჩვენს გუნდში დემოკრატიაა. მე ბუნებით დემოკრატი ვარ, ოჯახი იქნება, თუ გარეთ იქნება, და გუნდშიც სწორედ ეს დამოკიდებულება მაქვს. ისევ ნაძარცვი ფულით დარბიან ქუჩაში, ეს არის სირცხვილი. მათ არც პროპორციული უშველით, არც შერეული და არ არანაირი სისტემა. დგანან, ვერაფერსაც ვერ შვრებიან, საკუთარ თავს ამჟღავნებენ და აზიანებენ მხოლოდ. დემოკრატიულობას ჩვენ ვიცავთ, გამოხატვის უფლებას ვიცავთ და დავიცავთ მომავალშიც, დავიცავთ სუფთა ხელებით და არა ისე, როგორც ისინი იცავდნენ“...

მისივე თქმით, „ნაციონალურ მოძრაობას“ და მათ სატელიტ პარტიებს არანაირი შანსი არა აქვთ.

– ერთი ჭკვიანი კაცი როგორ არ გაჩნდა, რომ მათ ეს აუხსნას. ახლა ტრაგიკული სიტუაციაა, მთელ საზოგადოებას ხომ აწვალებენ. მე არც ის მომწონს, რომ ესენი პირდაპირ კედელს თავს ურტყამენ. შანსი არა აქვთ, ღამეებს ათენებენ, ერთმანეთს ატყუებენ, რომ დღეს არა, ხვალ მოვალ. შანსი არა აქვთ.

იხ. 2 გვ.





პრეზიდენტმა ეროვნული პრემიის ლაურეატები დააჯილდოვა

სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატები დააჯილდოვა. დაჯილდოების ცერემონია პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა. კონკურსში გაიმარჯვეს და სახელმწიფო პრემიების ლაურეატები გახდნენ მეცნიერები ზაალ კოკაია და რამაზ გახოკიძე. პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ქართველ მეცნიერებს კონკურსში მონაწილეობისათვის და დაჯილდოების ცერემონიაზე მოწვეულ სტუმრებს სიტყვითაც მიმართა.

ზაალ კოკაიამ ეროვნული პრემია ცხინვალის ციხეში მყოფ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილს მიუძღვნა და იმედი გამოთქვა, რომ ის შინ უახლოეს მომავალში დაბრუნდება. რამაზ გახოკიძემ ყურადღება გაამახვილა ეკოლოგიისა და ქართული სოფლის აღორძინების პრობლემებზე.

გიორგი გახარია: ჩვენი ევროპული გზა არის ჩვენი ქვეყნის, მოქალაქეების არჩევანი, რომელსაც არ გადავუხვევთ

საქართველო ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა, ეს არის ერთმნიშვნელოვნად დიდი პასუხისმგებლობა, მაგრამ ამავდროულად დიდი შესაძლებლობა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი გახარიამ გუშინ მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მთავრობის მეთაურის თქმით, როდესაც 20 წლის წინათ საქართველო გახდა ევროპის საბჭოს წევრი, ეს ნიშნავდა, რომ ქვეყანამ აიღო ვალდებულება და დაადასტურა მისი თანმიმდევრული ზრუნვა და სურვილი ქვეყნის დემოკრატიზაციისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მიმართულებით.

„საქართველო მსგავს საერთაშორისო ორგანიზაციას ხელმძღვანელობს პირველად. საქართველო ევროსაბჭოს წევრი გახდა 20 წლის წინათ. დღეს ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად, დღის წესრიგის შექმნაში მივიღოთ მონაწილეობა და ჩვენს ევროპელ კოლეგებთან დავაყენოთ ის საკითხები, რომლებიც ჩვენი ხედვით, აქტუალურია ჩვენი ქვეყნისთვის და, შესაბამისად, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რა როლი აქვს დემოკრატიზაციის პროცესებს ამ ქვეყანაში“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ჩვენ გვინდა მრავალ- პარტიული და არა უმრავ- პარტიული პარლამენტი

5

აღიარებული კარდიოლოგების მოთხოვნა ახალგედა მინისტრმა ყურად არ იღო!

7

ნაცებს არ წააკითხოთ, მთლად განადგურდებიან!

ვერ შევასრულეთ დაპირება და ამომრჩეველს შეუძლია, დაგვსაჯოს!

— საზოგადოებისთვის პასუხი გვაქვს გასაცემი იმაზე, რაც ვთქვით და ვერ შევასრულეთ. ამისთვის არსებობს არჩევნები. და არჩევნების პროცესი დაწყებულია, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

„ჩვენი ისტორიის განმავლობაში, როცა „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, არ მახსოვს, რამე სერიოზული დაპირება არ შეგვესრულებინოს. ზოგადად, ძალიან ვუფრთხილდები დაპირებას, 100-ჯერ და 1000-ჯერ ვზომავ, თუ ჰპირდები, უნდა გააკეთო. სამწუხარო რეალობაა, რაც მოხდა. განვიცდი პირადად, განიცდის გუნდში ყველა, განიცდიან ისინი, ვინც მხარი არ დაუჭირა ინიციატივას. განიცდიან იმას, რომ გუნდმა ვერ შეძლო. განიცდიან ფაქტს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გასცა დაპირება. მართალია, ეს იყო ცალმხრივი დაპირება, ეს არ იყო კონტრაქტი არავისთან, მაგრამ ვერ შევძელით შესრულება“...

14 ნოემბერს პარლამენტმა პროპორციულ სისტემაზე გადასვლას მხარი არ დაუჭირა, რასაც პარლამენტს გარეთ პროტესტი, შენობაში კი ხმაური მოჰყვა. თამარ ჩუგოშვილმა ვიცე-სპიკერის თანამდებობა, ასევე საპარლამენტო უმრავლესობა რამდენიმე დეპუტატთან ერთად დატოვა. მათ შორის იყო მარიამ ჯაშიც. მოგვიანებით მმართველი გუნდი რუსთავის მაჟორიტარმა გიორგი ბეგაძემ და ფრაქცია „ქართული ოცნება — კონსერვატორების“ სამმა წევრმა, ზვიად ძიძიგურმა, გიგა ბუკიამ და ნინო გოგუაძემ დატოვეს.

„ჩვენ დავზიანდით. გუნდი დაზიანდა არა მარტო იმიტომ, რომ თავისი გაცხადებული ვერ შეასრულა, ბევრი ღირსეული წევრი ჩვენი გუნდიდან გავიდა და ესეც გუნდისთვის გარკვეული ზიანია“, — განაცხადა ივანიშვილმა. მისივე თქმით, სამწუხაროა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაპირება ვერ შეასრულა და გუნდის ყველა წევრი ამას განიცდის.

რომც მოეხერხებინათ და შესულიყვნენ პარლამენტში...

გუნდმა სამწუხარო გამოცდილება მივიღეთ, თუ გნებავთ, 20 ივნისის. ნახეთ, როგორ სუფთად ჩაატარა პოლიციამ ყველაფერი, — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში 20-21 ივნისის მოვლენებზე და რამდენიმე დღის წინ გამართულ აქციებზე საუბრისას განაცხადა. გადატრიალების საფრთხის შესახებ დასმულ კითხვაზე ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ გუნდში 20 ივნისის მოვლენებზე იმსჯელეს. მისივე თქმით, ოპოზიცია რომც შესულიყო პარლამენტში, მათთვისვე დადგებოდა უარესი შედეგი.

„რახან ამ შეკითხვას მისვამთ, ესე იგი, კიდევ არის საზოგადოებაში განცდა. სხვათა შორის, მე გუნდში მქონდა 20 ივნისის მოვლენების გარჩევა. იქ ზოგიერთები გამოთქვამდნენ, რომ შეიძლება, გაერღვიათ პოლიციის კორდონი, შეიძლებოდა, ესენი იქ შესულიყვნენ და ა.შ. მაშინაც რომ შესულიყვნენ, უარესს მიიღებდნენ ისევ თვითონ. რა თქმა უნდა, დაზარალდებოდა ქვეყანა. მათ დააზარალეს ქვეყანა გარკვეულწილად. ნახეთ, ტურიზმიც, ინვესტიციებიც და ა.შ. თავისთავად, პოლიტიკური სტაბილურობა განსაზღვრავს ეკონომიკურს და ეს არის საფუძველი ყველანაირი ტიპის განვითარების. რა თქმა უნდა, ცუდია ამდენი ქუჩა, მაგრამ თვითონ რამდენად აქვთ შანსი, გაცილებით უარესს მიიღებდნენ. შიგვე ჩავიჭერდით იმ პარლამენტში ყველას“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებთან ვაფორმებთ კონტრაქტებს საქართველოს მოქალაქეების ლეგალურად დასასაქმებლად

საქართველოს მთავარი პრობლემა არის უმუშევრობა. **„რეალობიდან უნდა გამოვიდეთ და არა ეიფორიულად ვიძახოთ, რომ ჩვენ უმუშევრობას აღმოვფხვრით, ჩვენ ყველას დავასაქმებთ, რომ ჩვენ დავაბრუნებთ ემიგრანტებს. მუდმივად ვამბობთ, ეს არ არის მარტივი პროცესი. რამდენიც გასულია — საშუალოდ მილიონ-ნახევარი და შიგნით უმუშევარი რაცაა, დაახლოებით ორი მილიონი ადამიანი მოითვლება. კარგი ეკონომიკის პირობებში და კარგი კოორდინაციის შემთხვევაში, საშუალოდ 50 000 ახალი სამუშაო ადგილი შეიძლება შექმნას საქართველომ. აბა, ნახეთ რამდენი წელიწადია ის ორი მილიონი და 50 000, ესე იგი, ათწლეულები სჭირდება ამას, რომ ჩვენ ყველანი დავასაქმოთ საკუთარ სამშობლოში“.**

— ბუნებრივად რაც მოხდა და რაც განვითარდა, უამრავი ქართველი დღეს საშოვარზეა გადაგებული საზღვარგარეთ, იქ მუშაობს და ძირითადად, მათი აბსოლუტური უმრავლესობა არის დასაქმებული არალეგალურად. ჩემი ინიციატივა იყო მამუკა ბახტაძესთან ერთად და მას განვიხილავდით სპეციალურად, გუნდიც ჩამოვაყალიბეთ. ჩვენ შეგვიძლია და რამდენიმე თვეა, უკვე აქტიურად ვმუშაობთ ევროპის განვითარებულ

სახელმწიფოებთან, როგორც სახელმწიფო ვაფორმებთ კონტრაქტებს და მივდივართ ამაზე, რომ შევავსოთ ის დეფიციტი, რაც ევროპელებს აქვთ. ევროპელებს აქვთ სამუშაო ადგილები, აკლიათ სამუშაო ძალა, ჩვენ არ გვაქვს სამუშაო ადგილები, ეს არის ჩვენი ძირითადი პრობლემა. ახლა განმარტება დამჭირდება, აგიხსნით, რა ხდება რეალურად. გაიხსენეთ პოლონეთი, ბალტიისპირეთის სამი ქვეყანა, გაიხსენეთ ბულგარეთი, ისევე დაცლილია, როგორც საქართველო. პოლიტიკოსები რა თქმა უნდა, ამას განიცდიან და თვითონაც ცდილობენ, რომ ეკონომიკა დააწიონ ამ პრობლემებს. სადაც მაღალი ხელფასია, იქ გაედინება მუშახელი, მაგრამ ცივილიზებულად ხდება, ისინი არ არიან ღირსებაშელახულები — ლიეტუველი რომ მიდის, ვთქვათ, გერმანიაში სამუშაოდ, ჯდება ტრანსპორტზე და ბრუნდება უკან, როცა უნდა, მოწყვეტილი არ არის სამშობლოს. ჩვენი რეალობიდან გამოსული, თავის დროზე ჩვენც პოლიტიკური განცხადებები გაგვიკეთებია, რომ დაიცალა ქვეყანა და ამას მივაწერდით პოლიტიკურ გუნდს. დღეს ისინი აკეთებენ განცხადებებს და მოგვაწერენ ჩვენ, რომ იცლება ქვეყანა და ტენდენცია იზრდება გამსვლელების. ტენდენცია არ იზრდება. თუ გინდათ რეალური სტატისტიკა, რაც დიდად საამაყო არ არის, რომ ნახოთ, უფრო მეტი გაედინებოდა, რა თქმა უნდა, „ნაციონალური მოძრაობის“ დროს, ნაკლები გაედინება დღეს, მაგრამ ამას არ ვთვლი ჩვენს დამსახურებად.

ჩვენ დავიწყეთ ძალიან აქტიურად, რამდენიმე ასეული უკვე შემდეგ გაზაფხულზე შეიძლება გავუშვათ სეზონურ სამუშაოზე. პრინციპში, ეს არის დალაგებადი, რომ ჩვენ ხელშეკრულებები გავაფორმოთ“.

ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს საშობლოს სიყვარული არა აქვთ

ოპოზიციაში აბსოლუტური უმრავლესობა, ერთი-ორი ადამიანის გარდა, გაკოტრებული პოლიტიკოსები არიან, მათ არჩევნები არ უნდათ.

„რა უნდათ, არ ისმის და თითქმის ძალადობა წამოვიდა წინა პლანზე. ისე იკვეთება, რომ არჩევნებიც არ უნდათ. შეიძლებოდა, მიზეზი უფრო ღრმა იყოს, თუ გნებავთ ისიც, რომ პოლიტიკოსს, ნებისმიერ მოქალაქეს ღერძი და საფუძველი არ უნდა ჰქონდეს დანგრეული. პოლიტიკოსი იქნება ეს თუ ნებისმიერი მოქალაქე, თუ ის ცდილობს, საზოგადოებრივ საქმიანობაში შევიდეს და საზოგადოების რაღაც ნაწილი გააერთიანოს იმისთვის, რომ ქვეყანა უკეთესი მიმართულებით განვითარდეს, ელემენტარულად მას ქვეყანაზე ზრუნვის განცდა უნდა ჰქონდეს. ეს განცდა მე მგონი, დაკარგულია. ეს განცდა რომ გქონდეს, ქვეყნის სიყვარული უნდა გქონდეს. სამშობლო არის ის ემოციური ფენომენი, რაც ჩვენ გვიყვარს, ჩვენი იდენტობა. სახელმწიფო არის ის, რომელიც ამას იცავს, რაც გიყვარს და რაც შენმა წინაპრებმა დაგიტოვეს, შენი რელიგია, შენი ხალხური სიმღერა, თუ შენი ცეკვა“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ჩვენ გვაქვს რესურსი და 2020 წლის არჩევნებში მივიღებთ 50 პროცენტზე მნიშვნელოვნად მეტს

ბიძინა ივანიშვილმა 2020 წელს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებების ჩავარდნასთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ, რაც მოხდა, იმას თავადაც განიცდის და გუნდშიც განიცდიან.

მისი თქმით, ის არწმუნებდა გუნდს, რომ „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა შესაბამისი რესურსი.

„რა თქმა უნდა, მე განვიცდი, გუნდშიც განიცდიან ამას. ეს არ უნდა მომხდარიყო, სჯობდა. ჩვენ გვქონდა რესურსი, ვარწმუნებდი გუნდის წევრებს, რომ ჩვენ გვაქვს რესურსი, არ დავარღვიოთ ჩვენი სიტყვა და ჩვენ არჩევნებს თავისუფლად, 50-სა და 60 პროცენტს შორის ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შეგვიძლია მივიღოთ ამ არჩევნებში და შეგვიძლია, უმრავლესობა მივიღოთ, მთავრობაც ჩამოვაყალიბოთ. გასაგებია, ყველას ჰქონდა კითხვა — კოალიცია ვისთან, ამათთან კოალიცია? ამათთან გინდა კოალიცია? და აბსოლუტურად საფუძვლიანი კითხვაა, ვისთან უნდა გააკეთო კოალიცია“...

მისი თქმით, „ქართული ოცნება“ 2020 წლის არჩევნებშიც აჩვენებს, რომ რესურსი ჰქონდა.

„მე პირადად ძალიან ვიაქტიურე და არ დავშალეთ გუნდი, შევინარჩუნეთ. უმრავლესობის დაშლა იქნებოდა ტრაგიკული ამ ქვეყნისთვის დღეს. შევინარჩუნეთ სტაბილური უმრავლესობა და მე ძალიან მიყვარს გამონათქვამი, რომ „ზოგი ჭირი მარგებელია“. რა თქმა უნდა, ცუდი იყო რაც მოხდა, როგორც მოხდა, მაგრამ აქედან უნდა გავაკეთოთ დასკვნები, მრავალმხრივი დასკვნები და გავაგრძელოთ ქვეყნის სტაბილური განვითარება“, — განაცხადა ბოლოს ბიძინა ივანიშვილმა.

<u>გიორგი გახარია:</u> ბიძინა ივანიშვილმა აბსოლუტურად გულწრფელად, ღიად უპასუხა საზოგადოებაში დაგროვილ კითხვებს

ჩემთვის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ბიძინა ივანიშვილმა აბსოლუტურად გულწრფელად, ღიად უპასუხა საზოგადოებაში დაგროვილ კითხვებს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს შეფასებისას ჟურნალისტებს განუცხადა. მთავრობის მეთაურის შეფასებით, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ხაზგასმა იმისა, რამდენად რთულია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცედურების სრული დაცვით ქვეყნის წარმატებულად მართვა.

— ეს ის გამოწვევა და ვალდებულებაა, რომელიც ჩვენ უნდა შევასრულოთ. მარტივია ქვეყნის მართვა, როდესაც შენ ხელთ არსებულ ინსტრუმენტებს იყენებ უკანონოდ, ძალადობრივად. რთულია ქვეყნის მართვა, როდესაც აბსოლუტურად დემოკრატიულ, თავისუფალ გარემოში, სადაც მედია სრულად თავისუფალია, გამოხატვის თავისუფლებას არაფერი ემუქრება, სადაც ისეთი დოზის დემოკრატია და გამოხატვის თავისუფლება გვაქვს, რომ ზოგიერთები პარლამენტის შტურმს, ბლოკირებას გამოხატვის თავისუფლებად აღიქვამენ. ეს იყო ჩემთვის ძირითადად გასაგები. ის მიზანი, რომელიც ჩვენ ინტერვიუში დავინახეთ, ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია და ეს არის ის, რა მიმართულებითაც ჩვენ ვმუშაობთ, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

„ᲒᲕᲔᲨᲕᲔᲚᲔᲑᲐ ᲠᲐᲛᲔᲔ?“...

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ მშვიდი, სტაბილური და განვითარებული ქვეყნიდან შენს არეულ სამშობლოში ბრუნდები, პესიმისტი თუ ხარ, იფიქრებ „გვეშველება რამე?“, თუ ოპტიმიზმი შემოგრჩენია, მარადიულ კითხვას დასვამ „რა ვაკეთოთ?“

ეს შესავალი გადაცემა SWOT-ანალიზში ბიძინა ივანიშვილი ბოლო ინტერვიუსთვის დამჭირდა. ვფიქრობ, ამ ინტერვიუში მან შეძლებისდაგვარად პასუხი გასცა როგორც ოპტიმისტებს, ისე პესიმისტებს და, რაც მთავარია, მის ოპონენტებს, თუ რას უნდა ველოდოთ, რა შეიძლება მოხდეს და რა არა. პირდაპირ ვიტყვი, ეს იყო მისი ინტერვიუებიდან ყველაზე უკეთესი და ეს განპირობებული იყო მათ შორის სწორად შერჩეული ფორმატითა და მოდერაციით.

მე განსაკუთრებით მენიშნა ივანიშვილის მოსაზრება სამშობლოსა და სახელმწიფოს მიმართ დამოკიდებულებაზე, მისი ეს მოსაზრება ბევრი და განსხვავებული განსჯის საგანი გახდა. შესაძლოა, იმიტომაც, რომ ეს მტკივნეული თემა აქამდე არცერთ ლიდერს არ წამოუწევია. გასაგები მიზეზების გამო ყველა ერიდებოდა ამ თემაზე საუბარს. ამიტომ ძალიან კარგია, რომ ამ ინტერვიუს შემდეგ ამ საკითხზე დისკუსია დაიწყება, რადგანაც ამ პრობლემას რეალური და მიწიერი საფუძველი აქვს. სამშობლო VS სახელმწიფო არის ჩვენს საზოგადოებაში ღირებულებითი და მსოფლმხედველური სისტემების ასეთი მკვეთრი პოლარიზაციის ერთ-ერთი წყარო.

ივანიშვილის საჯარო გამოსვლა იყო დროული. ის გადადებას არ ითმენდა. როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებაში“ სწორად წაიკითხეს საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი მათ მომხრეებში არსებული განწყობები და მოლოდინები. დესტრუქციის რელსებზე გადასული ოპოზიციის მზარდი აქციების ფონზე საზოგადოებასა და სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავეთათვის რთული მდგომარეობა შეიქმნა, თუ გნებავთ, წმინდა ფსიქოემოციური კუთხით და ამაზე ადეკვატური რეაგირება საჭირო იყო. ივანიშვილის ამ ინტერვიუმ, განსაკუთრებით ოპოზიციისადმი მისმა გზავნილებმა, ამ უკანასკნელთ განსჯის მასალა მაინც დაუტოვა, როგორც მინიმუმ.

ინტერვიუში პასუხი გაეცა იმ კითხვასაც, თუ რატომ ვერ მოხერხდა პარლამენტში პროპორციულ არჩევნებზე გადასვლის შესახებ კონსტიტუციური ცვლილებების გატანა. ამ საკითხზე ბევრი სპეკულაცია და ვერსიებია და აზრი არა აქვს ურწმუნოთა გადარწმუნებას. კანონი და კონსტიტუცია არ დარღვეულა. საპარლამენტო დემოკრატიაში ხდება მსგავსი რამ. უფრო მეტიც, თუ ამას შევხედავთ გარდამავალი დემოკრატიის სტადიაში მყოფი ქვეყნის პრიზმაში, ეს ჯანსაღი დემოკრატიული პროცესია, რომელსაც, რა თქმა უნდა, თან ახლავს სირთულეებიც და კაზუსებიც. აქვე დავძენ; რომ მე პირადად, სრულად მაჟორიტარული სისტემის მომხრე ვარ, ოღონდ არა ისეთის, რაც ჩვენთან არის, არამედ ამერიკულის.

ინტერვიუში არაერთი საინტერესო და საყურადღებო მოსაზრება გამოითქვა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასა და მის პერსპექტივებზე, განხილვაზე დეტალურად არ შევჩერდები, სჯობს ინტერვიუ ნახოთ, ვისაც არ გინახავთ!. ახლა მთავარია, რომ საზოგადოებამ დაინახოს კონკრეტული საქმეები. ამისათვის კი, უპირველეს, ყოვლისა, საჭიროა, რომ ქვეყანაში სიტუაცია დაწყნარდეს.

ᲖᲐᲐᲚ ᲐᲜᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ,
ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲝᲚᲡᲙᲘ: ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲐᲜᲝᲜᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ

„ᲨᲐᲫᲢᲘ, რომ პერსპექტივაში საკმაოდ დამაჯერებლად არ გამოიყურება ნაციონალური მოძრაობის წარმატება, თანაც საკმაოდ ისეთი ბიუჯეტი მოდის 2020 წლისთვის — ხელფასების მატება, სოციალური საკითხები, და ბევრი სხვა რამ იმ სფეროებში, რომლებიც ადრე აბსოლუტურად მივიწყებული იყო — განათლების სფეროა ეს, თავდაცვის თუ წესრიგის დაცვის სფერო“, — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს იმ ნაწილის შეფასებისას განაცხადა, როდესაც მან თქვა, რომ ნაცმოძრაობას რეალურად გადატრიალება სურს, რადგან „ქართულ ოცნებას“ აქვს იმის რესურსი, რომ არჩევნებში ამომრჩევლის ხმების 50%-ზე მეტი აიღოს.

ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲣᲚᲝ პოლიციის უფროსი, ვაჟა სირაძე აცხადებს, რომ პარლამენტთან რკინის კონსტრუქციები უსაფრთხოების მიზნით მიიტანეს.

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲙᲔᲢᲔᲑᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

სირაძის თქმით, რკინის კონსტრუქციებით გზები იქამდე იქნება გადაკეტილი, სანამ აქციები არ შეწყდება და პარლამენტის პიკეტირების საფრთხე იქნება. როგორც ვაჟა სირაძემ განაცხადა, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილობრივ მცხოვრებლებს გადაადგილების საშუალება აქვთ.

„უსაფრთხოების მიზნით გადავწყვიტეთ, რომ დაგვედგა რკინის კონსტრუქციები, რომ არ ყოფილიყო აქცის მონაწილეების მხრიდან ძალადობრივი ქმედებები პოლიციის მიმართ. ჩვენ ვმოქმედებთ ადეკვატურად და შესაბამისად, რომ კარგად დავიცვათ საზოგადოების უსაფრთხოება. ეს იქნება მანამდე, სანამ გამართავენ აქციას და მოახდენენ პარლამენტის ბლოკირებას. ვინაიდან უკვე არაერთი ფაქტი იყო იმის, რომ ამ ადამიანებმა მოახდინეს პარლამენტის შესასვლელების ბლოკირება და განაცხადეს, რომ კვლავ აპირებდნენ ამას, პოლიციამ გაატარა შესაბამისი ზომები“, — განაცხადა სირაძემ.

◎ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲒᲝᲜᲐᲓ!

„ᲗᲣᲠᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲢᲧᲔᲨᲘ ᲔᲫᲔᲑᲓᲐ ᲞᲐᲜᲢᲐᲡᲝ“!

27 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡ-ᲪᲔᲜᲢᲠ „ᲙᲘᲜᲒ ᲓᲐᲕᲘᲗᲨᲘ“ „ᲒᲖᲐ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡᲙᲔᲜ“ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲔᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲗᲐᲜ — ᲓᲔᲕᲘᲖᲘᲗ „ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲘ�გᲔᲜᲪᲘᲐ ᲓᲣᲛᲘᲚᲡ ᲐᲠ ᲦᲕᲔᲕᲡ“!

სხვა საუბრის თემაა, რატომ დუმდა ქართველი ინტელიგენცია აქამდე და რატომ ითმენდა იობის სიმშვიდით იმ უმსგავსობებს — ხელისუფლებაში მოტყუებით მოსული ე.წ. პოლიტიკოსების პარპაშს, რომელმაც ღრმა პოლიტიკურ-ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანა ქვეყანა...

ამჯერად ერთ, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვან ნიუანსზე შევჩერდები, რის გამოც ნამდვილად ღირდა ამ სახელდახელო შეხვედრაზე დასწრება.

მართალია, გამომსვლელებმა დღეისთვის აქტუალურ და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემებზე ისაუბრეს, მაგრამ ამ შეხვედრის გვირგვინი იყო ცნობილი დიპლომატის, ამჯერად სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ **ზურაბ ხონელიძის** გამოსვლა, რომელმაც ბევრ, ჩემთვის გაუცემელ კითხვებზეც გასცა ამომწურავი პასუხი.

მის კომპეტენტურობაში და დიპლომატიურ სიმწიფეში ეჭვი არც აქამდე მეპარებოდა, მაგრამ, ნიშანდობლივია, რომ ბატონი ზურაბი აუდიტორიის (სხვათაშორის, ინტელექტუალური და კრიტიკულად განწყობილი აუდიტორიის) წინაშე წარდგა არა მარტო როგორც საღად მოაზროვნე დიპლომატი, არამედ, პოლიტიკური სტრატეგიც, რომელსაც სწორად ესმის საერთაშორისო გამოწვევები და ამ ფონზე ქვეყანაში მიმდინარე კრიტიკული პროცესებიც.

ნიშანდობლივია ისიც, რომ მისი დიპლომატიური ლექსიკა შეზავებულია რეალობის კრიტიკულ აღქმასთან და პრინციპულობასთან — მას ხელეწიფება, ობიექტურად წარმოადგინოს არა მარტო კრიზისის გამომწვევი მიზეზები და შედეგები, არამედ, დაგვანახოს გზებიც, თუ როგორ შეიძლება ამ კრიზისიდან თავის დაღწევა ისე, რომ ქვეყანა გადაარჩინო და ხარკიც გადაუხადო გლობალიზაციის მკაცრ გამოწვევებსაც!

ყოველთვის მოზომილი ვარ ასეთი რანგის ადამიანების შეფასებებში და არც ამჯერად ავყოლილვარ ემოციებს. აქედან გამომდინარე, გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ მისი სახით საქმე გვაქვს არა მარტო დახვეწილ დიპლომატთან, არამედ, შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსთან, რომელსაც გააზრებული აქვს, თუ როგორ შეიძლება აფხაზებთან და ოსებთან საერთო ენის გამონახვა და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაწყვეტასთან მიახლოება. ამასთან, გააზრებული აქვს სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიაც და ტაქტიკაც.

სამწუხაროდ, მისთვის განკუთვნილი დროის რეგლამენტის ფარგლებში მან ვერ მოახერხა, ბოლომდე გაეხსნა „გორდიას კვანძი“, თუმცა, ლიმიტირებული დროც საკმარისი აღმოჩნდა, წარმოდგენა შეგქმნოდა, თუ რა დონის ანალიტიკოსთან და სტრატეგთან გვაქვს საქმე ზურაბ ხონელიძის სახით!

ხელისუფლების კეთილი პოლიტიკური ნების (იგივე, ნორმალური ხელისუფლების) პირობებში ზურაბ ხონელიძე ნამდვილად იქნება საუკეთესო საგარეო საქმეთა მინისტრი, თუმცა, მისი ინტელექტუალური რესურსებიდან და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ხელისუფლების უფრო მაღალ ეშელონებშიც არ გაუჭირდებოდა საკუთარი ხელწერის დამკვიდრება (მითუმეტეს, დღევანდელი სახელისუფლებო ნიუროკრატიის შემხედვარე).

სწორედ ამაზეა ნათქვამი: „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასო“!

ᲖᲐᲣᲠ ᲜᲐᲭᲧᲔᲑᲘᲐ,
ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘ.

P.S. **ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ იქნებოდა, მისი მოხსენება უფრო დიდ დარბაზში, უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე მოგვესმინა და საქმიანი დისკუსიაც გაგვემართა.**

ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ კლასიკური გიმნაზიის მშობლები განათლების სამინისტროს მიმართ პრეტენზიას გამოთქვავენ, რომ აქციების ფონზე სწავლის პროცესი არ შეწყვეტილა.

მათი განცხადებით, ბავშვები, რომლებიც პირველ გიმნაზიაში სწავლობენ, აქციების ფონზე დაცულები არ არიან. ჟურნალისტი რუსა მუმლაძე განათლების სამინისტროს მიმართავს, რომ პარლამენტის შენობასთან ბარიკადებისა და აქციის ფონზე, პირველ გიმნაზიაში სწავლის პროცესი შეჩერდეს. როგორც ჟურნალისტი სოციალურ ქსელში წერს, კლასში 10-15 ბავშვი ზის და გაკვეთილები სრულფასოვნად არ ტარდება. ამასთან ბავშვებს, რომლებსაც იძულებით უწევთ სკოლის გაცდენა, „არა“ ეწერებათ.

„პარლამენტის შენობას ღობეს ავლებთ მაგ „ველური“ოპოზიციის შესაკავებლად, მაგრამ შენობის გვერდით რომ სკოლაა — კლასიკური გიმნაზია და ნებისმიერ დროს შეიძლება, შეექმნათ საფრთხე სკოლაში მისულ ბავშვებს, ამაზე დაფიქრებას როდის აპირებთ?! 10-15 ბავშვი თუ ზის თითოეულ კლასში. გაკვეთილები სრულყოფილად ვერ ტარდება! არმისულ ბავშვებზე, ანუ კლასის ნახევარზე მეტზე, „არა“ იწერება, გამესამედებულ კლასსებში საკონტროლოები მაინც ტარდება და ამას სასწავლო პროცესის ჩატარება ჰქვია, თურმე. მორიგი დარბევის

დროს, გაქცეული აქციის მონაწილეები რომ შევარდნენ მანდ, თავის შესაფარებლად, მასწავლებლები დაუდგებიან წინ?! იქნებ, ცოტა ხნით მაინც შეაჩეროთ სწავლა განახევრებულ კლასებში?! მე შვილს სკოლაში არ ვუშვებ, ბევრი მშობელი კიდევ! მე, როგორც ჟურნალისტმა, აქცია გავაშუქო, ვიცოდე, იქ რა არაკონტროლირებადი სიტუაციაა და შვილი სკოლაში გავუშვა?! სწავლის პროცესი მიდისო, რომ იძახით, სკოლის კედლებს ეხება ეგ ამბავი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროვ?!“, — წერს რუსა მუმლაძე.

რუსა მუმლაძის მსგავსად, განათლების სამინისტროს მიმართ პრეტენზიას გამოთქვამს ჟურნალისტი თათია ჩაფიჩაძეც. **„მართლა მაინტერესებს, ასე უხმოდ როდემდე იქნებით? ბოლო 2კვირაა, სკოლაში სწავლა არაა და ოფიციალურად განცხადებას რატომ არავინ აკეთებს?!“** — წერს სოციალურ ქსელში ტვ „პირველის“ ჟურნალისტი. მშობლების საპირისპირო აზრზეა პირველი გიმნაზიის დირექტორი თამარ კაპანაძე. როგორც მან „2020NEWS“-თან საუბარში განაცხადა, სკოლის შენობაში ტერიტორია დაცულია.

„სწავლის პროცესი არ შეჩერებულა, თუმცა დასწრების მაჩვენებელი დაბალია. გაკვეთილები ჩვეულ რიტმში მიმდინარეობს. გიმნაზიის ცენტრალური შემოსასვლელი გადაკეტილი არ არის და მოსწავლეებს სკოლის შენობაში შემოსვლა თავისუფლად შეუძლიათ. სკოლის შიგნით კი გარემო დაცულია. ამ ეტაპზე სწავლის შეჩერება სწორად არ მიმაჩნია. იმ შემთხვევაში თუ ვითარება დაიძაბება, იმ წამსვე სწავლის შეჩერების გადაწყვეტილებას მივიღებ, როგორც 18 ნოემბერს მოვიქეცი. მაშინ აქციების გამო მეორე ცვლას შეუწყდა სწავლა“, — განუცხადა „2020NEWS“-ს თამარ კაპანაძემ.

კახა კალაძემ 2 წლის ანგარიში ჩაგვაბარა

დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ საზოგადოებას საქმიანობის ორი წლის ანგარიში გააცნო. მერმა ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა და ორწლიანი თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა.

„პირველ რიგში, მინდა, ყველას მადლობა გადაგიხადოთ დღეს აქ მობრძანებისთვის. ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის მოსახლეობის უმრავლესობით აგვირჩიეს და უფლებამოსილების განხორციელებას ოფიციალურად შევუდექით. ამ ორი წლის განმავლობაში, მართლაც ძალიან ბევრი საინტერესო და ქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ. ყველას აინტერესებს, თუ რა იქნება ხვალ – როგორი იქნება ჩვენი დედაქალაქი. იმისთვის, რომ ქალაქში საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელო, მნიშვნელოვანია ქალაქის ბიუჯეტი“, – განაცხადა კახა კალაძემ. მან პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას თბილისელების სახელით მადლობა გადაუხადა, რადგან, მისი თქმით, 2020 წლის ბიუჯეტი რეკორდულ მაჩვენებელს აღწევს.

„მომავალი წლის პროექტებისთვის დაახლოებით, მილიარდ 300 მილიონ ლარს დავხარჯავთ. 2020 წლის ბიუჯეტი 300 მილიონი ლარით იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ 300 მილიონი ლარით მეტი ღირებულების მნიშვნელოვან პროექტს განვახორციელებთ. მინდა, ბიზნესსექტორს მადლობა გადავუხადო, რადგან ურთიერთთანამშრომლობით, უკვე განვახორციელეთ, საინტერესო პროექტები რა თქმა უნდა, ამაზე გაჩერებას არ ვაპირებთ“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, 2020 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული პროექტები, ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულება კვლავ პრიორიტეტულ საკითხად რჩება.

„მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება ჯანდაცვა და სოციალური მიმართულება იქნება. ბიუჯეტის დაახლოებით, 27-28% მიმართული იქნება ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების დასაფინანსებლად. წამოვიწყეთ და წარმატებით ხორციელდება ღვიძლის ტრანსპლანტაციის პროგრამა. ძალიან ბევრ ადამიანს დავეხმარეთ და დღეს ცხრა მოქალაქე, რომელმაც ამ პროგრამით ისარგებლა, ჩვენს ღონისძიებას ესწრება. მინდა, ჯანმრთელობა და ყოველივე საუკეთესო ვუსურვო ამ ადამიანებს. ჩვენ ყველას გვერდში დავუდგებით. არავინ არასდროს მიგვიტოვებია. არასდროს დაგვიყვია საზოგადოება პოლიტიკური ნიშნით და ვეხმარებით ყველას, ვისაც ამის საჭიროება აქვს. ასე იყო ყოველთვის და ასე იქნება მომავალში“, – განაცხადა კახა კალაძემ.

მან მხარდაჭერისთვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა 100 წლის მერი მაღრაძეს, რომელიც ანგარიშის პრეზენტაციას ესწრებოდა. დედაქალაქის მერის ორი წლის ანგარიშის პრეზენტაციას მთავრობის წევრები, პარლამენტისა და თბილისის საკრებულოს დეპუტატები, ასევე, ბიზნესის, კულტურის სფეროს წარმომადგენლები და ექსპერტები ესწრებოდნენ. დედაქალაქის მერმა მათ მხარდაჭერისა და თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა.

ბიზნესს 100 ობიექტს შევთავაზებთ საპრივატიზაციოდ, რაც თავისი მასშტაბით უპრეცედენტოა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესისთვის 100 საპრივატიზებო საინვესტიციო შეთავაზების შესახებ 29 ნოემბერს წარდგინებას გამართავს. მინისტრის ნათია თურნავას განცხადებით, ეს იქნება უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც ერთდროულად 100საპრივატიზებო ობიექტი გამოვა აუქციონებზე.

„ამ რაოდენობის პარალელური აუქციონი საქართველოში არასოდეს გამართულა. ჯამში, საუბარია 150 მლნ ლარის საწყისი საპრივატიზებო ღირებულების მქონე ქონების შეთავაზებაზე. ბიზნესს მიეცემა შესაძლებლობა, ძალიან მარტივად მიიღოს სრული ინფორმაცია საპრივატიზებო ქონებაზე, რომელიც სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსდება და ჩაერთოს ასეთი მასშტაბური პრივატიზების პროცესში,“ – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე. მინისტრის განცხადებით, ბიზნესისთვის არჩევანის გაკეთების გამარტივების მიზნით, სააგენტოს ვებგვერდზე თითოეული საპრივატიზებო ქონების შესახებ განთავსდება ერთგვარი დოსიე, აგრეთვე რეკომენდაცია, თუ რა ტიპის ბიზნესაქტივობის განხორციელება იქნება მიზანშეწონილი.

„აღნიშნული შეთავაზებები მორგებული იქნება იმ ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების გენერალურ გეგმებს, სადაც აღნიშნული საპრივატიზებო ქონება მდებარეობს. ასევე წინასწარ იქნება მოგვარებული ყველა იურიდიული საკითხი, როგორიცაა შეფასება, ქონების რეგისტრაცია, საზღვრების დაზუსტება და სხვა. ერთადერთი, ბიზნესმა არჩევანი უნდა გააკეთოს საპრივატიზებო ობიექტებს შორის და მიიღოს მონაწილეობა ამ აუქციონებში, რომლებიც უახლოეს თვეებში რეგულარულად გაიმართება,“ – განაცხადა ნათია თურნავამ.

ასევე, მინისტრის თქმით, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საინვესტიციო შეთავაზება და ძალიან ფართო არჩევანი ბიზნესისთვის, თუ სად და როგორ შეიძლება დააბანდონ ინვესტიცია და შექმნან ახალი სამუშაო ადგილები. ამასთან, როგორც თურნავამ განმარტა, აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას და სტიმულს მისცემს ეკონომიკის განვითარებას.

„დიდგორით“ ორი ქვეყანა დაინტერესდა

სსიპ სამხედრო-ტექნიკური ცენტრი „დელტას“ საბრძოლო მანქანა „დიდგორი მეომარი“ ტესტირებას ორ ქვეყანაში გადის. ცდების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, აღნიშნულ პროდუქტს ამ ქვეყნების ძალოვანი სტრუქტურები შეიძენენ. ამის შესახებ „დელტას“ გენერალურმა დირექტორმა უჩა ძოძუაშვილმა საქართველოს პირველი არხის გადაცემა „ბიზნესპარტნიორის“ ეთერში განაცხადა.

გადაცემაში ქართული სამხედრო პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი განიხილეს, რომელსაც ძირითადად „დელტა“ აწარმოებს და ექსპორტზეც გააქვს. გადაცემის მსვლელობისას აღნიშნა, რომ „დელტას“ პროდუქციის მიმართ დიდი ინტერესი არსებობს და საწარმო საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანია.

„მაგალითად, „დელტას“ პროდუქტი „დიდგორი მეომარი“, რომელიც მულტიმოდულური სისტემაა და სხვადასხვა ფუნქციური მოდულების დამაგრების საშუალებას იძლევა, ეს სამი მოდიფიკაციის მქონე მანქანა ორ სხვადასხვა ქვეყანაში მიდის, რომ სარესურსო გამოცდები და ტესტები გაიაროს. საუბარია, რომ შემდეგ იგი ძალოვანი სტრუქტურების ერთეულად შევიდეს“, – განაცხადა უჩა ძოძუაშვილმა.

მისი განმარტებით, საერთაშორისო ბაზარზე „დელტა“ საკმაოდ კონკურენტუნარიანია, რის საფუძველსაც საწარმოს ინტელექტუალური რესურსი ქმნის.

„ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც შეკვეთის მიღება და შესრულება შეუძლია, ფაქტობრივად, ჩვენი კონკურენტია. თუმცა, ჩვენ ვახერხებთ პრიორიტეტების დაფიქსირებას. ჩვენი ინტელექტუალური რესურსი საშუალებას გვაძლევს, ძალიან მოკლე დროში დავაკმაყოფილოთ ის სპეციფიკური მოთხოვნები, რასაც კლიენტი გვიყენებს. შესაბამისად, ეს გარკვეული კონკურენტული უპირატესობაა. კონკურენტული უპირატესობაა ისიც, რომ „დელტას“ აქვს საშუალება, რესურსული გამოცდები თუ სხვადასხვა ბალისტიკური გამოცდები საქართველოში სწრაფად განახორციელოს. საბოლოო ჯამში, კონკურენტებს დროში ვუგებთ“, – განმარტა უჩა ძოძუაშვილმა.

„დელტას“ გენერალური დირექტორის ინფორმაციით, მისი წარმოების პროდუქცია ფართოდ არის

დანერგილი ქართულ ჯარში და ამ კუთხით თანამშრომლობა კიდევ უფრო ვითარდება.

„განსაკუთრებით აღსანიშნავია თავდაცვის სამინისტროს დაინტერესება და ის ნაბიჯები, რაც ყოველდღიურად იდგმება „დელტას“ პროდუქციის ქართულ შეიარაღებულ ჯარში შეტანის მიზნით. უკვე რამდენი წელია, ჯარის პირადი დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა ჩვენი პროდუქციით ხდება. ეს ტენდენცია კიდევ უფრო ძლიერდება. ჩვენი ჯავშანმანქანები თავდაცვის სამინისტროში გამოიყენება. მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, რათა ის კომპლექსები, რასაც თავდაცვის სამინისტროს ვუქმნით, სამინისტროს განაწესებს და შიდა რეგულაციებს მოერგოს და ჯარის ოპერირების სტრუქტურაში ჩაჯდეს. ამ მიმართულებით თავდაცვის სამინისტროსგან ძალიან დიდ მხარდაჭერას ვიღებთ და ვფიქრობთ, რომ „დელტას“ ტექნიკური შესაძლებლობის ფარგლებში თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნებს დავფარავთ“, – განუცხადა უჩა ძოძუაშვილმა „ბიზნესპარტნიორს“.

ენგურის ხიდზე შეზღუდვები მოხსნილია

აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმმა ენგურის ხიდზე დაწესებული შეზღუდვა მოხსნა და მსურველებს ხიდზე გადაადგილების შესაძლებლობა აქვთ.

ენგურის ხიდზე საოკუპაციო რეჟიმმა შეზღუდვები ცალმხრივად 22 ნოემბერს დააწესა.

ოკუპირებულ აფხაზეთში, სოხუმის ცენტრში 22 ნოემბერს ორი ადამიანი მოკლეს.

დგება დრო, როდესაც ჩვენ ქვეყნის ცხოვრებაში დიდი ძვრებისა და გარდაქმნების მოწმენი ვხდებით. 2019 წლის 20-21 ივნისს პარლამენტის წინ ოკუპანტი ქვეყნის – რუსეთის საწინააღმდეგო აქციის მონაწილეებსა და სპეცრაზმელებს შორის მომხდარი ბატალიების შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა განცხადება, რომ 2020 წელს საპარლამენტო არჩევნები ნაცვლად შერეული სისტემისა, ჩატარდება პროპორციული სისტემით და ნულოვანი ბარიერით. ამ განცხადებამ აქციის მონაწილეთა ვნებათაღელვა დააცხრო, მაგრამ 2019 წლის 14 ნოემბერს პარლამენტის სხდომაზე კენჭისყრისას, პროპორციულ სისტემაზე გადასვლის საკითხი ჩავარდა, რასაც შედეგად ფართომასშტაბიანი აქცია მოჰყვა დამატებითი მოთხოვნებით!..

„ქართულმა ოცნებამ“ შეცდომა თვითონვე უნდა გამოასწოროს

რატომ არ უნდა დაამყაროს „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში ყოფნის რეკორდი?! რით არის პარტია „ქართული ოცნება“ პარტია „მოძალაძეთა კავშირზე“ ნაკლები?! მერე რა, რომ ელამია, ბრმას ხომ სჯობია? ამრიგად, გამოდის, რომ დაპირებულის მიუხედავად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით უნდა ჩატარდეს. ჩვენ გვინდა მრავალპარტიული პარლამენტი, მაგრამ არ გვინდა უამრავპარტიული პარლამენტი, არ გვინდა დომხალივით აწეწილ-დაწეწილი, არეულ-დარეული, ალუფხული, ასვრილი პარლამენტი. პარლამენტში შესასვლელად ბარიერი უნდა იყოს გადასალახავი. ბარიერის სიმაღლე ხელისუფლებამ და პოლიტიკურმა პარტიებმა ერთობლივად, შეთანხმებულად უნდა დაადგინონ.

ჩვენ გვინდა მრავალ-პარტიული და არა უამრავ-პარტიული პარლამენტი

პროპორციული სისტემა არ არის იმის გარანტია, რომ არჩევნები ვერ გაყალბდება. ამიტომ, არჩევნების სამართლიანად ჩატარებაზე და ბიულეტენების გაყალბებაზე ეჭვი რომ არავის გაუჩნდეს, ხმის დამთვლელ საუბნო კომისიებში შეყვანილ უნდა იქნან უცხოელი დამკვირვებლები, კონსტიტუციაში კი ჩაიწეროს, რომ ყოველი ხელისუფლება ვალდებულია, შეამოწმოს წინამორბედის მიერ ჩატარებული არჩევნების სისწორე და შედეგი. ბიულეტენების გაყალბების შემთხვევაში დამნაშავეებს პასუხი აგებინონ. ამით თავიდან ავიცილებთ ბიულეტენების ტოტალურ-მასობრივ გაყალბებას, ხმის დამთვლელ კომისიებში შეიძლება აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ურჩევნიათ ჯერ ტკბილი ჭამონ და შემდეგ მწარე, მაგრამ ასეთები ერთეულები იქნებიან და არჩევნებს ვერ გააყალბებენ.

არჩევნების სამართლიანად ჩატარება ბევრად არის დამოკიდებული ოპოზიციური პარტიების შნოსა და მარიფათზეც.

2019 წლის 14 და 18 ნოემბრის აქციების შემდეგ ცხადი ხდება, რომ რა სისტემითაც უნდა ჩატარდეს არჩევნები, პარლამენტში უმრავლესობით ვერც ერთი პარტია ვერ შევა. პარლამენტი კოალიციური მთავრობის შესაქმნელად უზრუნველყოფილი იქნება მრავალი პარტიით...

პარლამენტში უნდა მოხვდნენ სანდო, საიმედო, სამართლიანი პარტიები. აირჩევენ ისეთ კოალიციურ ხელისუფლებას, რომელიც ჭკუას სამართლიანად მოიხმარს, არ იქნება ბედოვლათი, ბიუჯეტის მფლანგველი და უყაირათოდ მხარჯველი, ჩვენს თავზე დალაქობას არ ისწავლის და თუ დაიქუხებს, წვიმასაც მოიყვანს, ისეთ შეცდომას არ დაუშვებს, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელი იქნება.

გადაცდომები, შეცდომები ყველა ხელისუფლებას ჰქონდა, უცოდველი არც ერთი ხელისუფლება არ იყო. როგორც ვხედავთ, არც ამჟამინდელი ხელისუფლებაა მამა აბრაამის ბატკანი!

არ უნდა გვქონდეს იმის მოლოდინი, რომ კოალიციური მთავრობა გორდიას კვანძს გადაკვეთს და ქვეყანაში არსებულ ყველა პრობლემას ერთბაშად მოაგვარებს.

ჩვენ გვინდა ქვეყნისთვის საჭირო თვისების, ღირსების მქონე, საზოგადოებრივი ინტერესების გამტარებელი, ხალხთან მჭიდრო კავშირის მქონე მთავრობა; ამით ქვეყანაც იხეირებს და ხალხსაც კარგ გუნებაზე დააყენებს. გვინდა მთავრობა, რომელიც სახელმწიფო აპარატში წონასწორობის დამყარებას შეუწყობს ხელს და მისი ოპონენტები, ოპოზიციური პარტიები მტრის ხატად არ ეყოლება წარმოდგენილი.

მთავრობა მოწოდებულია იმისთვის, რომ დაიცვას ქვეყნის ინტერესები, იყოს სამშობლოს და თავისთავის პატრიოტი. არ უნდა ეხამუშებოდეს, რომ აგრესორ ქვეყანას, რუსეთს, რომელსაც მიტაცებული აქვს ჩვენი მიწა-წყლის მეხუთედი, ოკუპანტი უწოდოს. მისი ფიქრიდან და მხედველობის არედან არ უნდა გაქრეს აფხაზეთი და სამაჩაბლო, მთელი თავისი გამოცდილება უნდა შეალიოს, გამოიყენოს ყველა ზომა და სამართლებრივი საშუალება, რომ ოკუპანტმა ქვეყანამ გაიყვანოს ჯარი საქართველოდან და დევნილები დაუბრუნდნენ თავიანთ კერას.

არჩევნებში თითოეული პარტიის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული მათი მხარდამჭერების აქტივობაზე, აუცილებლად ყველამ მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში, დავაფიქსიროთ ჩვენი თავის ამქვეყნად არსებობა. არ დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი – ქვეყნის მომავლის ამომრჩეველია, თავისი და შთამომავლის ბედის მჭედელია. ჩვენ დიდი მისია გვაკისრია!

კარგად ვიფიქროთ, ასჯერ განვსაჯოთ და ყველა, როგორც ერთი, მივიდეთ საარჩევნო ყუთთან, ხმა მივცეთ ჩვენ მიერ აღიარებულ პარტიას და საარჩევნო ბიულეტენზე შემოვხაზოთ მისი ნომერი.

მე ვინ ვარ? ერთი უბრალო ხანდაზმული კაცი ვარ. ანდაზაა: ხანდაზმულ კაცს სიზმარიც დაეჯერებაო. ჰოდა, დამიჯერეთ!

მჯერა: ძალაძი ნავსადგომი ანაკლია-ლაზიკა მიიღებს დიდ საოკეანო ხომალდებს, განაშენიანდება მაღლივი, ცათამბჯენი შენობებით, დასაძმდება ათასობით ადამიანი, ათასობით ოჯახს გაუჩნდება არსებობის წყარო. ეკონომიკა დიდი ნახტომებით წაიწევს წინ უკეთესობისკენ, დედამიწის ყველა კუთხიდან მოიზიდავს ტვირთებს, ტურისტებს და დიდ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას, რაც ხალხის კეთილდღეობაზე აისახება.

ასეთი კარგი საქმის, ასეთი ფენომენის ხელის შეშლა სამშობლოს ღალატის ტოლფასია. უცხოელი ინვესტორებისთვის საქართველო საფრთხობელა არ უნდა იყოს.

* * *

საქართველოს საპატრიარქომ დიდი ხანია, რუსეთის საპატრიარქოს მიუსამძიმრა, მწუხარება გამოთქვა უკრაინის ეკლესიის გამოყოფის გამო და არ ცნო მისი ავტოკეფალია.

დროა, საქართველოს საპატრიარქოში ძაძები გაიხადონ და უკრაინის საპატრიარქოს, ხალხს და მთავრობას უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია მიულოცონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ღვაწლი და ამაგი, რაც მის უწმინდესობას ილია მეორეს და საპატრიარქოს მიუძღვით, შეიძლება, გაფერმკრთალდეს.

* * *

ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი მართალს ამბობს, საქართველომ საომარი იარაღები უნდა აწარმოოსო. დედამიწის თანამგზავრებიც უნდა გავუშვათ და ადამიანებიც ვაფრინოთ კოსმოსური ხომალდებით. ჩვენს სიმართლეს ძალა უნდა ამაგრებდეს..

ისეთ ვითარებაში, როგორშიც დღეს საქართველო იმყოფება, ნეიტრალობაზე ლაპარაკი კი არა, ფიქრიც არ შეიძლება. შვეიცარია და შვედეთი ნეიტრალურები იმიტომ არიან, რომ მათ მშვიდობას არავინ და არაფერი არ ემუქრება. მეზობელ რუსეთს საქართველოს სხეულის ნაწილები ჩაყლაპული აქვს და ახლა ბოლომდე გადაყლაპვით გვემუქრება. ისე უნდა გავაკეთოთ, რომ სანამ მეგობარი ქვეყნები მოგვეშველებიან, ყელში მაინც გავეჩხიროთ. ამიტომ, ნეიტრალობაზე კი არ ვილაპარაკოთ, არამედ რაც შეიძლება მალე გავწევრდეთ ნატოში და საქართველოში ნატოს ბაზები განვათავსოთ.

ნეიტრალობაზე ფიქრი მას შემდეგ შეიძლება, როცა რუსეთი შეასრულებს მოსკოვის 2008 წლის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და უარს იტყვის ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების „დამოუკიდებლობაზე“.

* * *

ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა არჩევნებში „მთავარი და გვერდითი მსაჯების“ დახმარებით გაიმარჯვა. ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს „ქართული ოცნების“, ხელისუფლების ვალი აქვს.

პოლიტიკოსი, რომელიც, ჩემი აზრით, ოკუპანტი ქვეყნის – რუსეთის ნასროლ ანკესზე წამოეგო, ყოფილ ხელისუფლებას ცილი დასწამა, ცამდე მართალ ქვეყანას – თავის სამშობლოს რუსეთთან ომის დაწყება დააბრალა, ქვეყანას და ხალხს სიკეთეს არ მოუტანს!

* * *

მერიამ ამორტიზებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის ახლებით შეცვლა დაიწყო, რაზეც დიდი თანხის გაღება უწევს. ახალი, ლამაზი ავტობუსების ყურება ვერ დაანაყრებს დამშეულებს, შიმშილის ზღვრამდე მისულ ადამიანებს, რომლებიც ბლომად არიან ჩვენს ქვეყანაში. პირველ რიგში სულიერების ყოფას უნდა მივხედოთ.



თუ ეს საქმე ვერ ითმენს, მაშინ ისე მაინც გაკეთდეს, რომ ცოტ-ცოტათი ერთიც გამოვაკეთოთ და მეორეც. არც მწვადი დავწვათ და არც შამფური.

ოთარ შონია,
არქიტექტორი

„არ დაგვლუპოთ“, თქვე მართლა მანქურთებო!

„ევროპული საქართველოს“ წევრები პროტესტის ნიშნად პარლამენტში მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებსა და პარლამენტის კომიტეტებს ტოვებენ. პარტიაში შემავალი ფრაქციების წევრებმა პარლამენტს შესაბამისი თანამდებობების დატოვების შესახებ განცხადებით უკვე მიმართეს.

როგორც „ევროპული საქართველოს“ პრესსამსახურში განაცხადეს, ოთო კახიძე და ირაკლი აბესაძე იურიდიულ კომიტეტს ტოვებენ. ამასთან, კახიძე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტსაც ტოვებს.

სერგი კაპანაძე განათლების, მეცნიერებისა და კულტურის და ევროინტეგრაციის კომიტეტებს ტოვებს, ელენე ხოშტარია კი ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტიდან მიდის. რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტს დეპუტატები ლაშა დამენია და ლელა ქებურია ტოვებენ. ამას გარდა, ზურაბ ჭიაბერაშვილი დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტს, ზაზა კედელაშვილი კი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს ტოვებენ.

სხდომებს აღარ დაესწრებიან

ბათუმის საკრებულოში „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქცია ბოიკოტს აცხადებს და საკრებულოს სხდომებს აღარ დაესწრება. მათი ბოიკოტის მიზეზი არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებაა.

„ჩვენ აღარ დავესწრებით სხდომებს მანამ, სანამ არ გადაწყდება ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი – პროპორციული არჩევნები. ფაქტობრივად, გადავდივართ ბოიკოტის რეჟიმში, სანამ ეს პროცესები ქვეყანაში ხალხის სასარგებლოდ არ დალაგდება“, – განაცხადა საკრებულოს წევრმა ლევან ანთაძემ.

ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲦᲐᲠᲩᲔᲑᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ, Ბ-Ნ ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ **პრემიერ-მინისტრო!**

დღეს ქართული სოფლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა უკიდურეს გაჭირვებაშია — არ გააჩნია არათუ სამეწარმეო პროექტების დაფინანსების ან თანადაფინანსების შესაძლებლობა, არამედ გაჭირვებით ახერხებენ ყოველდღიურად თავის გატანას. ამ გარემოებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს აგრარული სექტორისადმი არასისტემური მიდგომები, დარგების უკუშედეგების მომტანი ორგანიზაციული მოწყობა და მცირემიწიანობის პრობლემა.

სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი დონე გახდა ქვეყანაში სიღარიბის განმპირობებელი და მაღალი სოციალური პოლარიზაციის საფუძველი! სწორედ ასეთი სოციალურ-ეკონომიკური გარემო განაპირობებს სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაციის მაღალ დონეს (2002 წელთან შედარებით მოსახლეობა 36%-ით არის შემცირებული). **სიღარიბე სასურსათო უშიშროების განუხორციელებლობის ძირითადი მიზეზია.**

არსებული რეალობიდან გამომდინარე, საქართველოში, სხვა განვითარებული ქვეყნების მსგავსად, სწორედ სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და იკისროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესის ძირითადი მაკოორდინებელი, მაორგანიზებელი და ხელშემწყობი ფუნქცია!

სახელმწიფომ უნდა გაითვლისწინოს ეს ძალა, როგორც ძლიერი და სანდო პარტნიორი სოფლად რთული ეკონომიკური, ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებისას და ცალსახად განსაზღვროს, რომ არსებულ სიტუაციაში, მცირემიწიანი მოსახლეობისთვის, მხოლოდ კოოპერაციული, ანუ სოციალური სოლიდარობისა და სამართლიანობის სისტემის ხელშეწყობითაა შესაძლებელი, აგროპროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი საწარმოო ციკლის შექმნა და კოოპერატივის ფარგლებში დამატებული ღირებულების გენერირება, სოფლად მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მოთხოვნადი პროდუქციის მასშტაბური წარმოება, სიღარიბის დაძლევის, მიგრაციის შეჩერების და ჯანსაღი საშუალო ფენის ჩამოყალიბების რთული პროცესის განხორციელება.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ევროკავშირიც, რაც გამოიხატა თუნდაც იმით, რომ მან მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის მიზნით განახორციელა პროგრამა ENPARD-1, რომელმაც რეკომენდაციები სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ ინსტიტუციური გაძლიერების შესახებ ასახა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების კონცეფციაში.

ამდენად, სრულიად გაუგებარია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოზიცია: იმის მაგივრად, რომ ქვეყნის ფორსირებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში კოოპერაციის პროცესის მნიშვნელობის ადეკვატურად გაზრდილიყო მხარდაჭერა და ევროკავშირის რეკომენდაციების შესაბამისად, მომხდარიყო მისი ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, მივიღეთ სრულიად არაადეკვატური და არაკვალიფიციური გადაწყვეტილება, ქვეყანაში კოოპერაციული სისტემის ერთადერთი მაორგანიზებელი და მაკოორდინებელი უწყების — სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ გაუქმებისა და მისი ფუნქციების სხვა უწყების მიერ შეთავსების შესახებ.

აგრარულ სექტორში კოოპერაციის პროცესის სტიმულირებისგან თავის შეკავება, ნეგატიურად აისახება მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობაზე და კიდევ უფრო დაამძიმებს არსებულ პრობლემებს.

კოოპერაციის მხარდაჭერის პრიორიტეტულობას უკვე აღიარებენ ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტებიც. არ არის რთული იმის შეფასება, თუ რამდენად „მომგებიანი“ იქნება წინასაარჩევნოდ აღნიშნული სააგენტოს გაუქმების გადაწყვეტილება პოლიტიკური თვალსაზრისით.

კოოპერაციის პროცესის განვითარებისთვის აუცილებელია, რაც შეიძლება მოკლე პერიოდში შეიქმნას კოოპერაციული ინფრასტრუქტურა. მისი შექმნა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ნორმატიული-საკანონმდებლო საფუძვლებისა და შესაბამისი პროგრამების მომზადებას, რაც სხვა ქვეყნებში ხორციელდება სპეციალიზებული ინსტიტუტების მიერ.

დღეს საქართველოში გარდა სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსი“ არ არსებობს არც ერთი კვალიფიციური ინსტიტუტი, რომელიც აღჭურვილი იქნება კოოპერაციული შიგასაწარმოო ურთიერთობების და სისტემის განვითარების გამოცდილების სპეციფიკური ცოდნით, რაც სააგენტოს პერსონალმა შეიძინა მისი არსებობის 6 წლის განმავლობაში.

ამიტომ, ყოვლად გაუმართლებელია ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ მიერ კოოპერაციის პროცესის სამართლებრივი რეგულირების და მისი მართვის ფუნქციების შეთავსება, სადაც არც მმართველ პირებს და არც პერსონალს ამ სფეროში არანაირი ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნია, თუნდაც ამ უწყებაში არსებობდეს ქვედანაყოფი, კოოპერაციის პროცესის მართვის ნარჩენი ფუნქციებით.

სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ გაუქმება ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის მთავრობას არა აქვს საკმარისად გაცნობიერებული ამ პროცესის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა და კვლავ არსებობს დიდი რისკი იმისა, რომ არასწორი კონცეპტუალური მიდგომების გამო, აგრარულ სექტორზე გაწეული სოლიდური ფინანსური დახმარების შედეგები იქნება დაბალქმედითუნარიანი, ან სულაც უკუშედეგის მომტანიც კი, როგორც ეს ხდებოდა განვლილი ორი ათეული წლის განმავლობაში.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲖᲔᲛᲝᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ:

1. მოხდეს სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ სამართლებრივი სტატუსის შეცვლა და მის ბაზაზე ჩამოყალიბდეს არასამეწარმეო იურიდიული პირი ა(ა)იპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, რომელსაც ექნება უფლება, პარტნიორის სტატუსით შევიდეს მის მიერ დაფინანსებულ კოოპერატივებში და უშუალო მონაწილეობა მიიღოს მის მართვაში, საიდანაც გაუჩნდება საკუთარი შემოსავლები დივიდენდების სახით; ამ გზით ეტაპობრივად შემცირდება მისი სახელმწიფო დაფინანსება და 2-3 წელიწადში იგი სრულ ეკონომიკურ თვითმმართველობაზე გადავა;

2. ევროკავშირის რეკომენდაციების შესაბამისად, მოხდეს სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება, როგორც სტრუქტურული, ასევე საკადრო კუთხით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებულია ცვლილებები და დამატებები კანონში „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“, რომლის უმეტესი ნაწილის მიღება დაუშვებელია. იგი კიდევ უფრო გაართულებს კოოპერაციის პროცესს და მის განვითარებას. სოფლის მოსახლეობის გადარჩენა კოოპერირების გარეშე, პრაქტიკულად, შეუძლებელია. საქმეს სჭირდება პირველი — აკადემიური დონე. მეორე — კოოპერაციული ინფრასტრუქტურის შექმნა სახელმწიფო ძალისხმევით. სხვა ყველა შემთხვევაში, ვიმეორებ, კატასტროფა გველის.

საკითხი ეხება აგრარულ სექტორში მრავალმხრივი და კომპლექსური ხასიათის მქონე სისტემური ცვლილებების და ახალი საინვესტიციო პოლიტიკის გატარებას. ამ პროცესის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გთხოვთ, თქვენთან საკითხის განხილვის გარეშე არ მიეცეს მსვლელობა ზემოაღნიშნულ ცვლილებებს.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲙᲝᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ᲝᲠ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲖᲔᲛᲝ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ ᲠᲐᲭᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲓᲐᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ **გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი 52 კმ-მდე გზის მშენებლობა-რეკონსტრუქცია აქტიურად მიმდინარეობს.**

„გზა საჩხერიდან იწყება და გაივლის შემდეგ სოფლებზე: სარეკი, ქვემო ხევი, უზუნთა, შქმერი, ბოყვა, ქვაშხიეთი, ზუდალი და საბოლოოდ გზა შეუერთდება ამბროლაური-ონის გზას, რომელიც ქ. ამბროლაურიდან დაშორებულია 20 კმ-ით, ხოლო ქ. ონიდან 5 კმ-ით. პროექტი 7 მონაკვეთადაა დაყოფილი.

გზის დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, დაუსახლებულ ტყიან ზონაში მდ. ხეურას ხეობაში გადის და ზღვის დონიდან 1000-1500 მ სიმაღლეზე მდებარეობს. არსებული გზა გრუნტოვანი იყო, პროექტის შესაბამისად კი გზის სრული რეაბილიტაცია მოხდება და ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება. ამ დროისთვის, ინტენსიური სამუშაოები 6 ლოტზე ერთდროულად მიმდინარეობს.

ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა ძალიან მნიშვნელოვანია სოციალ-ეკნომიკური თვალსაზრისით. საჩხერე-ონის მარშრუტის სამგზავრო დრო (სიგრძე 111 კმ) დაახლოებით 2 საათია, ხოლო ზემო იმერეთი-რაჭის ახალი საავტომობილო გზით საჩხერე-ონის მარშრუტი სულ მცირე, 1 საათით მცირდება. სატრანსპორტო მოძრაობა საჩხერე-ონის გზაზე მნიშვნელოვნად გაზრდის მომსახურებისა და უსაფრთხოების ხარისხს, განსაკუთრებით ქალაქებსა და სოფლებში.

ახალი დამაკავშირებელი გზა (აღმოსავლეთ ალტერნატივა) გამოაცოცხლებს ლეჩხუმისა და რაჭის რეგიონებს და მათ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

პროექტის საერთო სავარაუდო ღირებულება 108 500 000 ლარს შეადგენს და მისი დასრულება ეტაპობრივად 2021 წლისთვის არის დაგეგმილი“ — **ნათქვამია ინფორმაციაში.**

ალიარებული კარდიოლოგების მოთხოვნა ახალბედა მინისტრმა ყურად არ იღო!

ეს სფეროს დანგრევაა!

ჰოსპიტალური სექტორის წარმომადგენლებმა საგანგებო პრესკონფერენციაზე ახლად დანიშნული ჯანდაცვის მინისტრის ეკატერინე ტიკარაძის მიერ გატარებული პირველი რეფორმა გააპროტესტეს და № 520 დადგენილების გადავადება კიდევ ერთხელ მოითხოვეს.

„ის ტარიფები, რომელიც ჯანდაცვის სამინისტრომ დაგვიდგინა არათუ ვერ უზრუნველყოფს მაღალ ხარისხს, უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელს ხდის ნებისმიერი სიცოცხლის გადამრჩენი სერვისების მიწოდებას. ძველი ტარიფიც კი ვერ უძლებდა ინფლაციას, ხოლო ახალი ტარიფით საერთოდ შეუძლებელი ხდება პროცედურების ჩატარება“, — განაცხადა „საქართველოს კარდიოქირურგთა ასოციაციის“ პრეზიდენტმა **სულხან ლომინაძემ**.

საქართველოს რეანიმაციისა და ანესთეზიის სკოლის დამფუძნებელი, კლინიკა „ღია გულის“ განყოფილების ხელმძღვანელი **გიორგი გრიგოლია** აცხადებს, რომ ეკატერინე ტიკარაძე ახალი რეფორმით ჯანდაცვის ბიუჯეტის დაზოგვას ცდილობს, რადგან ბიუჯეტს თანხა აკლია. პროფესორი ამბობს, რომ პროტესტის ტალღა ჰოსპიტალურ სექტორში უფრო და უფრო გაღრმავდება, როდესაც რეანიმაციის და კარდიოლოგიური ქირურგიის შემდეგ ტარიფები სხვა მოთხოვნად სერვისებზეც იქნება დადგენილი.

„როდესაც 5 ნოემბერს ბრძანება გამოქვეყნდა, ჩვენ 6 ნოემბერსვე გვქონდა რეაქცია და ვთხოვეთ სახელმწიფო უწყებებს შეხვედრა, ბიზნესომბუდსმენის გარდა არსად შეხვედრა არ შემდგარა. მხოლოდ გუშინ მივიღეთ წერილი, ჯანდაცვის სამინისტროდან, რომ მივსულიყავით დაინტერესებული პირები სამინისტროში და დაგვესვა კითხვები, რომელზეც პასუხს გაგვცემდნენ. რეფორმა შეეხო ყველაზე ძვირად ღირებულ დარგებს. ეს არც ტარიფიკაციაა და არც რეფორმა, ეს არის, უბრალოდ, ფასების კატასტროფულად შემცირება. ტარიფიკაცია ნიშნავს ტარიფების გადახედვას, რომელიც მცირეა — გაზარდო, რომელიც ნორმალურია — დატოვო და რომელიც დიდია — შეამცირო. დაიწყეს ყველაზე ძვირად ღირებული სერვისებით, რადგან ბიუჯეტს თანხა აკლია და აპირებენ ჯანდაცვის ბიუჯეტისთვის ფულის მოკლებას. შემდგომში როგორც სამინისტრომ განგვიმარტა დადგენილება ამ ეტაპზე 800 ნოზოლოგიას შეეხო, შემდგომში 8000 ნოზოლოგიას უნდა გადახედონ და ეს გადახედვა იქნება შემცირება და არა თანხის გაზრდა. ჩვენი ნაბიჯები დამოკიდებულია იმაზე, წავა თუ არა სამინისტრო დათმობაზე, ხელს არავის ვუგრიხავთ, ვთხოვთ, დადგენილება რამდენიმე თვით გადავადდეს, შეიქმნას დარგობრივ სპეციალისტებთან და კლინიკის ხელმძღვანელებთან ერთად კომისია და თითოეული ტარიფი გადახედოს. რევოლუციას ვერ მოვაწყობთ მაგრამ პროტესტის ტალღა ექიმებში გაიზრდება მაშინ, როდესაც რეფორმა სხვა დარგობრივ სფეროებსაც შეეხება“, — აცხადებს გიორგი გრიგოლია.

ცნობილი კარდიოლოგი **ალექსანდრე ალადაშვილი** აცხადებს, რომ ჯანდაცვის სექტორისთვის ტარიფების გათანაბრება პრობლემა არ არის. მისი თქმით, პრობლემა დაბალი ტარიფიკაციაა. პროფესორი აცხადებს, რომ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები მხარს უჭერენ გათანაბრებულ ტარიფებს, მაგრამ მკურნალობის ტარიფები რეალური უნდა იყოს.

„ჯანდაცვის მინისტრი ექიმია, სტომატოლოგია, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ექიმია, ამიტომ მათ არ ევალებათ და ვერც დავავალებთ ღრმა ეკონომიკურ გათვლებს. კარდიოლოგთა საზოგადოებამ დამოუკიდებელი ექსპერტიზისათვის ეკონომისტებს დადგენილი ტარიფების შესწავლა ვთხოვეთ. პირველივე შეხედვით თქვეს, რომ ტარიფები არარეალურადაა დათვლილი. კლინიკებმა, როგორც კანონმორჩილმა დაწესებულებებმა, ვცადეთ ახალი ტარიფებით მუშაობა, ერთი კვირა უკვე გავიდა, რამდენადაც პირველი გამოცდილება აჩვენებს, უკვე კლინიკები წაგებაზე მუშაობენ. კლინიკა, რომელიც (გინდა სახელმწიფო, გინდა კერძო) მუშაობს წაგებაზე, რაღაც მთლად კარგად არაა დათვლილი. ალბათ პერსონალის შემცირება მოგვიწევს, რამდენადაც ვიცი, რამდენიმე დაწესებულებამ ხელფასები 25 %-ით შეამცირა “, — განაცხადა ალექსანდრე ალადაშვილმა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს გულის რიტმის ასოციაციამ პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ღია წერილით მიმართა. წერილში საუბარია იმის შესახებ, რომ ჯანდაცვის სამინისტროს რეფორმა ჰოსპიტალურ სექტორს განადგურების საფრთხის წინაშე აყენებს. როგორც კახაბერ ეცადაშვილი აცხადებს, რეფორმის ამოქმედებიდან ერთი კვირის თავზე კლინიკა უკვე წაგებაზე მუშაობს, რაც საბოლოოდ კლინიკის დახურვას გამოიწვევს.

„უკვე მივმართეთ პრემიერს ღია წერილით, რადგან აქ საუბარი არაა მხოლოდ თანხების შემცირებაზე. აქ საუბარია დარგის მოსპობაზე. არ შემეშინდება თქმა — დარგის განადგურებაზე. პაციენტებს სერვისებს ვეღარ მივაწვდით, ამიტომ ვითხოვთ, სასწრაფოდ შეჩერდეს №520 დადგენილების მოქმედება და შეიქმნას კომისია, სამუშაო ჯგუფი. დადგენილი ფასები ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე — თვითღირებულება იმ აგრეგატების, რომელიც ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის ჩვენ უნდა გამოვიყენოთ. აქ საუბარი არაა კლინიკების მოგებაზე ან ექიმების ხელფასებზე, აქ საუბარია იმაზე, რომ ჩვენ ვერ ჩავუყენებთ იმ აპარატებს, რომელიც საჭირო. როდესაც ასეთ, შედარებით მარტივად დასათვლელ პოზიციებზე არის ამდენი შეუსაბამობა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საკითხი, თუ საერთოდ როგორ იქნა გამოყვანილი ხარჯები. კლინიკა, ჯერჯერობით, წაგებაზე მუშაობს; როცა პაციენტს სჭირდება სამედიცინო დახმარება, ჩვენ არ გვაქვს უფლება, უარი ვუთხრათ, მაგრამ ეს უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. ყველა რესურსი ამოწურვადია, მათ შორის კლინიკის და საბოლოოდ, ჩვენი დარგი ალბათ დაიხურება. ამიტომ ჩვენი მოთხოვნაა, რომ სასწრაფოდ გადავადდეს ეს დადგენილება. განემარტოს მოსახლეობას, რომ ჩვენი პროტესტი მოგებისა და ჯიბის გასქელების მიზნით არაა გამოწვეული, არამედ ესაა მოსახლეობისთვის ხარისხიანი ჯანმრთელობის სერვისების მიწოდებისთვის წარმოქმნილი პროტესტი. დავსხდეთ, განვიხილოთ დარგობრივ ასოციაციებთან, ექიმებთან, ეკონომიკის ექსპერტებთან ერთად ეს თემა და შევიმუშაოთ ახალი ტარიფები“, — აცხადებს **კახაბერ ეცადაშვილი**.

შეგახსენებთ, რომ 26 სამედიცინო დაწესებულების და დარგობრივი ასოციაციების მოთხოვნის მიუხედავად ჯანდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა მთავრობის № 520 დადგენილების 6 თვით გადავადებაზე, რომლებიც ძალაში 21 ნოემბრიდან შევიდა. რეფორმის მიზანი იყო კლინიკებს შორის ფასების გათანაბრება, თუმცა სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კატასტროფულად შემცირდა ფასები საქართველოში ისეთ ყველაზე უფრო განვითარებულ მაღალტექნოლოგიურ და მნიშვნელოვან სამედიცინო მიმართულებებზე, როგორიცაა რეანიმაციული მომსახურება, კარდიოლოგია, კარდიოქირურგია, არითმოლოგია, ნეეროლოგია და ა.შ.. ჰოსპიტალურ სექტორტში აცხადებენ, რომ დადგენილებით განსაზღვრული ტარიფები არის სამედიცინო მომსახურების თვითღირებულებაზე გაცილებით ნაკლები.

ბაჩო ადამია, ნათია ლომიძე

ეკატერინე ტიკარაძე:

კლინიკები არათანაბარი ფასების პირობებში ოპერირებდნენ

„საქართველოს ბაზარზე არსებული კლინიკები ოპერირებდნენ არათანაბარი ფასების პირობებში, რომელიც არ იყო გამჭვირვალე არც სახელმწიფოსთვის და სამწუხაროდ, არც პაციენტებისთვის“, — ამის შესახებ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა.

მისი თქმით, ფასებზე მუშაობა და კლინიკებთან აქტიური თანამშრომლობა დაიწყო ივლისის თვეში, როდესაც სამინისტროს პორტალზე არსებული საშუალებებით, მათი მხრიდან ფასების გამოთხოვა მოხდა.

„საქართველოს ბაზარზე არსებული კლინიკები ოპერირებდნენ არათანაბარი ფასების პირობებში, რომელიც არ იყო გამჭვირვალე არც სახელმწიფოსთვის და სამწუხაროდ, არც პაციენტებისთვის. ასეთი მეთოდოლოგია და ბაზრის მოწყობის მეთოდი იყო არაერთ სხვა ქვეყანაში, რომლებმაც ასევე უარი თქვეს — მაგალითად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 70-იან წლებში უარი განაცხადა მსგავს დაფინანსებაზე სახელმწიფოს მხრიდან. ძალიან მნიშვნელოვანია, განვასხვავოთ ფასების გათანაბრება და ფასების დადგენა.

ჩვენ მოვახდინეთ მხოლოდ ფასების დადგენა ბაზარზე, რომ გამჭვირვალე ყოფილიყო როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე პაციენტისთვის, თუ სად და რატომ მიდიოდა ეს ფინანსები. სწორედ ეს გახლდა გარკვეულწილად იმ ვნებათაღელვის გამომწვევი, რომელიც დღეს სახეზეა.

რა თქმა უნდა, მე ძალიან დიდ წუხილს გამოვხატავ. ამ რეფორმის დაგეგმვა და „დიარჯი“ სტანდარტზე გადასვლა სახელმწიფოს უკვე არაერთი წელია, დაანოსნებული აქვს და კონკრეტულად ამ ფასებზე მუშაობა და აქტიური თანამშრომლობა კლინიკებთან ჩვენ დავიწყეთ ივლისის თვეში, როდესაც სამინისტროს პორტალზე არსებული საშუალებებით, ჩვენ ოფიციალურად მოვახდინეთ მათი მხრიდან ფასების გამოთხოვა, რომლის დამუშავებაც შემდეგ მოხდა და ასევე ბაზრის შესწავლა იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ შევისწავლეთ, რომელი მომწოდებელი რა თანხად აწვდის კონკრეტულ მასალებს კლინიკებს.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი მიზანი არ ყოფილა ხარისხის კომპონენტზე რისკის აღება და ხარისხი უნდა ყოფილიყო დაცული პაციენტისთვის, ეს არის ჩვენი ვალდებულება და ასევე ჩვენი მოქალაქეების კონსტიტუციური უფლება, რომ ქონდეს ხელმისაწვდომი როგორც ფინანსურად, ასევე გეოგრაფიულად ჯანდაცვის სერვისები“, — განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ.

შეგახსენებთ, რომ 21 ნოემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის 5 ნოემბრის №520 დადგენილება, რომლის თანახმად, საყოველთაო ჯანდაცვაში ჩართული კლინიკებისთვის ტარიფები გათანაბრდა.

სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლები ღიად აცხადებენ, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გატარებული რეფორმა პაციენტების მომსახურების ხარისხის მკვეთრ გაუარესებას გამოიწვევს. მათი თქმით, სახელმწიფო უწყებამ ისეთი ტარიფები დაადგინა, რომელიც დღევანდელ საფინანსო-ეკონომიკურ პარამეტრებს რეალურად არ ასახავს. სწორედ ამიტომ, დადგენილების გადავადების მიზნით, 26-მა სამედიცინო დაწესებულებამ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ჯანდაცვის მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ბიზნესომბუდსმენს, ჯანდაცვის კომიტეტსა და სახალხო დამცველს ღია წერილით მიმართეს. თუმცა პროტესტის მიუხედავად, რეფორმა მაინც ამოქმედდა.

მეორე ჯანყი და „სტრატეგიული პარტნიორები“

„აშშ-ის და ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში აცნობიერებენ ქართველი საზოგადოების ფართო ნაწილის ღრმა იმედგაცრუებას იმის გამო, რომ პარლამენტმა არ მიიღო 2020 წელს სრულ პროპორციულ საპარლამენტო არჩევნებზე გადასასვლელად საჭირო საკონსტიტუციო ცვლილებები. ზაფხულში მიღებული გადაწყვეტილება პროპორციულ არჩევნებზე გადასვლის დაჩქარებასთან დაკავშირებით გაგებული იქნა, როგორც ქართული დემოკრატიის მიერ მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი, რასაც თან სდევდა პოლიტიკური კონსენსუსი და ყველა მხარის ერთობლივი ვალდებულება, ემუშავათ ამ მიზნის მისაღწევად.

ამ პროცესის მოულოდნელმა შეჩერებამ გაზარდა უნდობლობა და გაამძაფრა დაძაბულობა მმართველ პარტიას, სხვა პოლიტიკურ პარტიებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. ... “

ეს განცხადება ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორების“ აშშ-ისა და ევროკავშირის დიპლომატიური წარმომადგენლობების ერთობლივი ნაღვაწია, ამასთანავე, ხელისუფლების გაფრთხილება: „არსებითად მიგვაჩნია გადაუდებელი მუშაობა მთავრობას, ყველა პოლიტიკურ პარტიასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ნდობის აღსადგენად ... ისეთი სამომავლო გზის საპოვნელად, რომელიც მისაღები იქნება“.

თბილისში, პარლამენტის შენობასთან განვითარებულმა მოვლენებმა რეაქცია გამოიწვია იმ დასავლელ პოლიტიკოსებში, რომლებიც საქართველოს საკითხით არიან დაკავებული, იცნობენ ჩვენს ქვეყანას, მის პოლიტიკოსებსა და სამოქალაქო საზოგადოებას. ასეთთა წრე არცთუ ფართოა, თუმცა საქართველოს მოსახლეობას, ადგილობრივი პოლიტელიტის და მედიის წყალობით ისე მიეწოდება, თითქოს ამერიკასა და ევროკავშირში შემავალი ქვეყნები დღედაღამ საქართველოზე ფიქრობენ და ყველაფერს აკეთებენ მისი კეთილდღეობისთვის.

არადა, გარდა ვიწრო პოლიტიკური წრისა, უდიდეს უმრავლესობას საქართველო, ინგლისურად „ჯორჯია“, აშშ-ის ჯორჯიის შტატი ჰგონია. ამის დასტურად, გავიხსენოთ 2008 წლის აგვისტოს ომი და ამერიკული პრესა, რომელმაც ისე გააშუქა საქართველო-რუსეთის კონფლიქტი, რიგით ამერიკელთა მოწოდება რომ გამოიწვია – იარაღი შეესხათ ჯორჯიის შტატის დასაცავად.

საქართველოს შესახებ დიდი ცოდნით არც ევროპელები გამოირჩევიან, მაგრამ არიან ისეთები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ერკვევიან საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობაში, თუმცა მაინც ზერელე წარმოდგენა აქვთ ქართულ მენტალიტეტზე, საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე, ცხოვრების წესზე.

არ ვიცი, როგორ განვიხილო მეზობელი რუსეთის ჩვენ გვერდით ყოფნა (გეოგრაფიულად) – პოზიტიურად თუ ნეგატიურად, ვინაიდან რუსეთი რომ არ ყოფილიყო, საქართველოსადმი ინტერესი გაცილებით დაბალი იქნებოდა.

რუსეთი დასავლეთის მტერია – ასე აცხადებენ ამერიკელი კონგრესმენები და სენატორები, რაც აიძულებს მათ, გაზარდონ შეიარაღების ხარჯები, გაამკაცრონ რუსეთთან ურთიერთობები, დაუწესონ მას ეკონომიკური სანქციები, პრობლემები შეუქმნან მეზობელი ქვეყნებიდან, ნატოს სამხედრო ბლოკი მჭიდროდ მიაყენონ რუსეთის საზღვრებს, ევროპის ქვეყნებში განალაგონ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები...

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკამ და მისმა ევროპელმა მოკავშირეებმა, ყოფილ საბჭოთა სივრცეში არაერთი ფერადყვავილოვანი რევოლუცია მოაწყვეს. მიზანი მათი იყო მარტივი – რუსეთის ორბიტიდან გამოყვანა, მოსახლეობის ანტირუსულად გადაკეთება, რუსეთის ირგვლივ სიძულვილის რკალის შექმნა – ბალტიისპირეთისა და შავი ზღვის აუზების ქვეყნების გამოყენებით.

ანტირუსული კამპანიის მთავარი სამიზნე უკრაინა-საქართველო გახდა. ამ ორ ქვეყანაში მოიკიდა ფეხი ამერიკულ-ევროპულმა ანტირუსულმა პროექტმა – უკრაინელი და ქართველი პოლიტიკოსების გაუაზრებელი პოლიტიკის და ხალხის გაუთვითცნობიერებლობის გამო. ორივეს უხვად დაუყარეს ნატო-ევროკავშირის საკენკი, ისეთი წარმოდგენა შეუქმნეს, თითქოს იქ შესვლა უსაფრთხო არსებობის, ყველაფრით უზრუნველყოფილი ცხოვრების საწინდარია.

დასავლეთი უკრაინა-საქართველოდან ითხოვდა და ითხოვს გამუდმებულ ანტირუსულ კამპანიას, პროვოკაციების მოწყობას (რასაც ხშირად ჰქონდა ადგილი საკაშვილის დროს), რუსეთისთვის გაუსაძლისი პირობების შექმნას. ამ და სხვა დავალებებს ორივე ქვეყანა წარმატებით ასრულებს, თუმცა უკრაინა მეტად. დონბასში გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა, პრიორიტეტულობა უკრაინას შესძინა.

2014 წელს „მაიდნის“ გადატრიალებამ, რომელიც ევროკავშირ-აშშ-ის უშუალო დახმარებით და დაფინანსებით განხორციელდა, ქვეყნის სათავეში პროფაშისტური ხელისუფლება მიიყვანა, რომელმაც ყველაფერი იღონა რუსეთის მტრად გამოცხადებისთვის. დასავლეთმა რუსი და უკრაინელი – ერთი სისხლი და ხორცი, მოსისხლე მტრებად გადააქცია და არავინ იცის, მათ შორის როდის, როგორ აღდგება ჩატეხილი ხიდი.

ანალოგიური თუ არა, მსგავსი ვითარება შექმნა კოლექტიურმა დასავლეთმა ქართველსა და რუსს შორის – მოისყიდა პოლიტიკური ელიტა, სამოქალაქო საზოგადოება, მედია და ისე დაატაკა ისინი რუსეთს, როგორც მრავალსაუკუნოვან მოსისხლე მტერს. საქართველოს გარკვეულ, მნიშვნელოვან წრეს დაავიწყა მთელი რიგი სიკეთეები – რუსეთიდან წამოსული და ნაცვლად მადლიერებისა, პრეზიდენტ სააკაშვილს ათქმევინა: უამრავი დამპყრობლიდან, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში აწიოკებდნენ საქართველოს, ყველაზე მზაკვარი, დაუნდობელი რუსი იყოო (პრეზიდენტ ბუშის ვიზიტის დროს თავისუფლების მოედანზე წარმოთქმული სიტყვა).

ახლახან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყნა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და მეცნიერის, ყოფილი დისიდენტის ვიქტორ რცხილაძის უაღრესად საინტერესო სტატია სათაურით: „ორი სამარცხვინო მკვლელობა და რუსეთის პოლიტიკა საქართველოში“, რომელშიც ავტორს მოჰყავს ქუთაისის გაენათის მიტროპოლიტის, მეუფე იოანე გამრეკელის სიტყვები: „ილია ჭავჭავაძე სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს ევროპის დავალებით, დაკვეთა იყო ევროპიდან. ისინი ებრძოდნენ პოლიტიკურ ელიტას მთელს რუსეთის იმპერიაში“.

კოლექტიური დასავლეთის უშუალო ჩარევით განხორციელდა მეორე „ნარინჯისფერი“ რევოლუცია უკრაინაში. იყო და არის მცდელობა მეორე „ვარდების“ რევოლუციისა საქართველოში. მაინც რას უწუნებენ „საოცნებო“ ხელისუფლებას სტრატეგიული პარტნიორები? იმას, რასაც შევარდნაძის ხელისუფლებას! ორივე ხომ ლოიალურად იყო და არის განწყობილი ვაშინგტონ-ბრიუსელის მიმართ?! მაგრამ ვაშინგტონს მეტი უნდა. ის სააკაშვილს და სააკაშვილებს უფრო ახლობლად, ღვიძლ შვილებად აღიქვამს, ივანიშვილს – ნაკლებად. თან იმასაც ფიქრობს – სააკაშვილი რომ საქართველოს „შეფი“ ყოფილიყო, რამდენ პრობლემას შეუქმნიდა რუსეთს?

ივანიშვილი კი თავს არიდებს ასეთი პრობლემების შექმნას, უფრო მეტიც, დიალოგიც სურს რუსეთთან.

და აგორდა გავრილოვის საქმეც!

ამერიკულ პრესაზე დაყრდნობით მაშინ ვწერდი, რომ პარლამენტის სხდომათა დარბაზში დაწყებული საპროტესტო გამოსვლები – შემდეგ ქუჩაში გაგრძელებული, ამერიკის დაფინანსებით და ინიციატივით განხორციელდა. ამერიკელმა ექსპერტებმა, რომლებმაც იმ ჯანყის წინ მოინახულეს ქართველი პოლიტიკოსები, სიტყვები არ დაიშურეს რუსეთის საწინააღმდეგო განცხადებებისთვის. ხალხს შეახსენეს, რომ რუსეთთან ურთიერთობის დათბობა ნიშნავს რუსეთის მიერ სრულიად საქართველოს დაპყრობას. და ქართველმა შეგირდებმაც არ დააყოვნეს – ჯოხებით, ქვებით შეიარაღებულებმა იერიში მიიტანეს პოლიციაზე, რომელიც პარლამენტის შენობას იცავდა.

ასე განხორციელდა პირველი ჯანყი, ვითომ უშედეგოდ, მაგრამ შედეგიანად, ვინაიდან საქართველო-რუსეთის სუსტი ურთიერთობები გაქრა და ნაცვლად ისევ მტრობა და უნდობლობა ჩამოწვა. ამჟამინდელი ჯანყი – მეორე, რუსთაველის გამზირის გადაკეტვა და ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები – ვითომ პროპორციული არჩევნების მოთხოვნით, საბაბია და მეტი არაფერი. მიზანი – **ხელისუფლების დამხობა, ივანიშვილის ხელისუფლებაზე სანდო ძალების მოსვლაა.**

დასავლეთს არ მოეწონა მომიტინგეთა ძალისმიერი დაშლა პარლამენტთან, რაც ნათლად აისახა სტატიის დასაწყისში მოყვანილ განცხადებაში. მისი ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „საქართველოს საზოგადოების ფართო იმედგაცრუებას“ ჰქონია ადგილი, მმართველი პარტიის მიერ პროპორციული არჩევნების ჩატარების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების მიმართ.

კეთილი, მაგრამ რა შუაშია აშშ-ის და ევროკავშირის დიპლომატიური წარმომადგენლობები საქართველოს საშინაო საქმეებთან?

ადრე რომ გეკითხათ მათთვის, რატომ არ აქცევენ ყურადღებას სააკაშვილის რეჟიმის აღვირახსნილობას, უმალ გიპასუხებდნენ – ეს ჩვენი საქმე არ არის. ჩვენ თქვენს საშინაო საქმეებში არ ვერევითო.

მოდით, დავსვათ კითხვა – ქართველმა ხალხმა რა იცის პროპორციულ-მაჟორიტარულ სისტემებზე?

არც არაფერი! არათუ „ფართო საზოგადოებამ“, პოლიტიკურმაც ნაკლებად იცის ამის თაობაზე. მაშ, რატომ ცდილობენ ამერიკელ-ევროპელი დიპლომატები სასურველის რეალობად მოჩვენებას?

მარტივი მიზეზის გამო – პროპორციული სისტემით ოპოზიციას მეტი შანსი უჩნდება პარლამენტში მრავლობით რიცხვში შესასვლელად.

პირველმა ჯანყმა რუსეთთან ურთიერთობის გაუარესება გამოიწვია, რასაც ეკონომიკური ჩავარდნები მოჰყვა. საქართველოს ბიუჯეტს მოაკლდა ტურიზმის შემოსავალი, ვინაიდან რუს ტურისტებზე იყო და არის ჩამოკიდებული ზაფხულის ტურიზმი. როგორც ჩანს, ზამთრისასაც ისეთივე ბედი ეწევა.

ზამთრის კურორტებზე – გუდაური-ბაკურიანი, დასვენების მსურველთა შეკვეთები არ ჩანს. სასტუმროების მეპატრონეები აცხადებენ, რომ გასულ წელს, ნოემბერში დაჯავშნული იყო სასტუმროთა ნომრები, დღეს კი წარმოუდგენლად ცარიელნი ვართ!

ჯერაც გაურკვეველია საქართველო-რუსეთს შორის საჰაერო მიმოსვლის აღდგენის საკითხი, რაც თავისთავად ისედაც ჩავარდნილი ვაჭრობის გახანგრძლივების საწინდარია. ყოველივე ამას კი თან ახლავს ლარის კურსის დაცემა, ინფლაცია, ფასების კატასტროფული მატება კვების პროდუქტებიდან დაწყებული, ყველაფერზე...

გუშინ გამოცხადდა, რომ საჰაერო მიმოსვლა 2020 წლის გაზაფხულზე აღდგებაო!

რუსეთი დიდი და ძლიერი სახელმწიფოა, ისე, როგორც ჩინეთი და მათთან ამერიკის მხრიდან სავაჭრო ემბარგოებით ლაპარაკი ნაკლებეფექტურია, მაგრამ ირანთან გამოუვიდათ. ერთ კვირაზე მეტია, ირანის ქალაქებში ანტისამთავრობო მიტინგებსა და გამოსვლებს აქვს ადგილი, რამაც სამართალდამცავებთან უაღრესად სამწუხარო სისხლიანი შეტაკებები მოიტანა. არის მსხვერპლიც. ხალხის გარკვეულ ნაწილსა და ხელისუფლებას შორის უნდობლობის შეგრძნება გაჩნდა, რაც კოლექტიური დასავლეთის უმთავრესი მიზანია. ირანის ხელისუფლებამ შეაფასა რა ქვეყნის შიდა პროცესები, განაცხადა, რომ არეულობის მუხტი ირანის საზღვრებს გარედან მოდის!

უმძიმესი ვითარებაა ქალაქ ჰონკონგში, სადაც ზაფხულიდან დაწყებული ადგილი აქვს სტუდენტების, ანტისახელმწიფოებრივი ძალების გამოსვლებს. ეს ქალაქი 1997 წლიდან დაუბრუნდა სამშობლოს – დიდი ბრიტანეთის მმართველობიდან. ჩინეთსა და ჰონკონგს შორის გაფორმდა ხელშეკრულება – ერთი ქვეყანა, ორი სისტემის სახელით, რომლის მიხედვით ჰონკონგი ინარჩუნებს ავტონომიურობას 2047 წლამდე, შემდეგ ის ისეთ ქალაქად იქცევა, როგორც დანარჩენი ჩინური ქალაქები. ჰონკონგელთა მხოლოდ 3% თვლის თავს ჩინელად. არადა, ამ ქალაქის მოსახლეობა ჩინურია, მაგრამ ასწლიანი კოლონიური გამოცდილებით და არაჩინური მენტალიტეტით.

ოფიციალური ჩინეთი ჰონკონგის ჯანყს აშშ-ს აბრალებს, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ის არის პირველი, ვინც პეკინისგან ითხოვს დემონსტრანტების მიმართ ლმობიერ დამოკიდებულებას. ჰონკონგის ჯანყმა ეს ქალაქი, მანამდე მსოფლიოს მარგალიტად წოდებული – ეკონომიკურად უკან დასწია. შეწყდა ტურიზმი, განსაკუთრებით ჩინეთიდან – წლიურად 30 მილიონი. ქალაქის მესვეურები ზარალს ითვლიან – 300 მილიონი დოლარი და არვინ იცის, როდის ჩაცხრება იქ ვითარება.

თუ რა მდგომარეობაა უკრაინაში – ქვეყანაში, რომელშიც აშშ-ს უშუალო მონაწილეობით მოხდა ის, რაც მოხდა, მკითხველისთვის ცნობილია. მაგრამ გავიმეორებ – ერთ დროს მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკა ნულის დონეზეა დასული. ჯართად გაიყიდა ფაბრიკა-ქარხნები, მიწასთან გასწორდა საქვეყნოდ ცნობილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საწარმოები, სოფლის მეურნეობა. უკრაინელები მასობრივად გარბიან ქვეყნიდან – საშუალოდ, საათში 20 კაცი.

სადაც გაიხედავთ ყველგან ვაშინგტონის ხელს და სპეცსამსახურების ნაღვაწს ხედავთ, თვით პარტნიორებშიც კი. ევროკავშირში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები პოლონეთის მოთავეობით უპირისპირდება „ძველ ევროპას“, რაც წყალს უყენებს ამ ორგანიზაციას. „ახლებს“ აშშ-ის იმედი აქვთ. ვაშინგტონის წახალისებით ხდება ყოველივე. აშშ-ს სულაც არ აწყობს ძლიერი ევროკავშირი. ვაშინგტონს არც ნატო აწყობს – მძიმე ტვირთად მიიჩნევს მას და თვლის, რომ წევრმა სახელმწიფოებმა საკუთარი უსაფრთხოებისთვის ფული უნდა გადაუხადონ აშშ-ს.

ყოველივე აღნიშნული გვაფიქრებინებს იმას, რასაც მსოფლიოში ამერიკული გავლენა ჰქვია და აქედან გამომდინარე „სტრატეგიული პარტნიორებისადმი“ თავისებური დამოკიდებულება, რომელიც სულაც არ გამორიცხავს ხელისუფლების ცვლას – ნაკლებად სანდოს, მორჩილით ჩანაცვლებას. იქნებ, აქაც ამასთან გვაქვს საქმე?

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ᲜᲐᲢᲝ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ!..

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ კანცლერი ანგელა მერკელი აცხადებს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ახლაც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ცივი ომის დროს და ალიანსის შენარჩუნება აუცილებელია. ეს განცხადება მერკელმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლის დროს გააკეთა.

„ევროპას ამ ეტაპზე დამოუკიდებლად თავის დაცვა არ შეუძლია და ჩვენ სწორედ ამ ტრანსატლანტიკურ ალიანსს ვეყრდნობით“, — განაცხადა ანგელა მერკელმა.

გერმანიის კანცლერმა ნატოში თურქეთის წევრობაზეც ისაუბრა და თქვა, რომ თურქეთი უნდა დარჩეს ალიანსში, რადგან მის წევრობას გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐᲔᲡᲮᲜᲔᲜ

ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ქალაქ ნაჯაფში დემონსტრანტები ირანის საკონსულოს თავს დაესხნენ და შენობას ცეცხლი წაუკიდეს.

საკონსულოს თანამშრომლებმა შენობის დატოვება დემონსტრანტების შეჭრამდე მოასწრეს. ბოლო ერთი თვის განმავლობაში ეს ერაყში ირანის საკონსულოზე თავდასხმის მეორე შემთხვევაა. 4 ნოემბერს ანალოგიურ ფაქტს 3 ადამიანი ემსხვერპლა.

ერაყში საპროტესტო აქციები პირველ ოქტომბერს დაიწყო. მოსახლეობა უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელს და საჯარო უწყებებში კორუფციას აპროტესტებდა. 31 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა ადელ აბდელ მაჰდიმ გადადგომის და ახალი არჩევნების დანიშვნის მზადყოფნა გამოთქვა. აშშ-მა ერაყის ხელისუფლებას რიგგარეშე არჩევნების ჩატარებისკენ მოუწოდა.

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲨᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ მმართველმა პარტიამ „ენი აზერბაიჯანმა“ პოლიტსაბჭოს საგანგებო სხდომაზე პარლამენტის დათხოვნის გადაწყვეტილება მიიღო.

მიზეზი ეროვნული კრების ამჟამინდელი შემადგენლობაა, რომელიც უმრავლესობის მოსაზრებით, არ შეესაბამება სახელმწიფოს მეთაურის მიერ განსაზღვრულ პოლიტიკას და, ფაქტობრივად, ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებისგან დისტანცირებულია.

მილი მეჯლისის 29 ნოემბრის სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობა ამ საკითხის წამოწევას გეგმავს.

საპარლამენტო არჩევნები აზერბაიჯანში ბოლოს 2015 წლის ნოემბერში გაიმართა. მილი მეჯლისი 125 მანდატიანია და დეპუტატების არჩევა მაჟორიტარული სისტემით ხდება.

ᲜᲐᲡᲙᲐᲡ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ „ᲜᲐᲮᲐᲖᲔᲑᲘ“...

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲛᲐ ნასკას ხაზების სახელით ცნობილი 140 ახალი გეოგლიფი აღმოაჩინეს. ნასკას ნახაზები იდუმალებით მოცული უძველესი, გიგანტური ფიგურების ჯგუფია სამხრეთ პერუს უდაბნოში.

ადამიანების, ცხოველებისა და სხვა ობიექტების ეს მასიური გამოსახულებები დაახლოებით 2500 წლის წინანდელია და იმდენად დიდია, რომ მათი იდენტიფიცირება მხოლოდ ზემოდან, ჰაერიდანაა შესაძლებელი.

იაპონიის იამაგატას უნივერსიტეტის არქეოლოგთა ცნობით, 2004 წელს დაწყებული კვლევის შედეგად აღმოჩენილია ნასკას აქამდე უცნობი 143 გეოგლიფი; მათ შორის ერთი ფიგურაა. აღმოჩენა ხელოვნური ინტელექტის საშუალებით მოხერხდა.

მეცნიერთა აზრით, ახლად აღმოჩენილი გეოგლიფები შექმნილია დაახლოებით ძვ. წ. აღ. 100 — ახ. წ. აღ. 300 წლებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ნასკას უძველესი კულტურის მიერ შექმნილი ამ ფიგურების დანიშნულება ბოლომდე გარკვეული არ არის, გარკვეულწილად ცნობილია, როგორ შექმნეს ისინი.

მკვლევართა ჯგუფის განმარტებით, ყველა ფიგურა შექმნილია მიწიდან შავი ქვების საფარის მოცილების გზით, რის შედეგადაც ხილული ხდებოდა მის ქვეშ არსებული თეთრი ქვიშა.

ერთ-ერთი წინა ჰიპოთეზის მიხედვით, ნასკას საზოგადოებამ გიგანტური გეოგლიფები (ზოგიერთის სიგრძე ასობით მეტრია) შექმნა იმიტომ, რომ ცი-დან ისინი ღვთაებებს დაენახათ; კიდევ ერთი მოსაზრების მიხედვით, ფიგურებს ასტრონომიული დანიშნულება ჰქონდა.

ახალი კვლევის ფარგლებში, რომელსაც ანთროპოლოგი და არქეოლოგი **მასატო საკაი** ხელმძღვანელობდა, ჯგუფმა შეისწავლა ნასკას რეგიონისთვის თანამგზავრიდან გადაღებული მაღალი რეზოლუციის ფოტოები, ასევე ჩაატარა საველე სამუშაოები; შედეგად გამოავლინა გეოგლიფთა ორი ძირითადი ტიპი.

უძველესია B ტიპი (ძვ.წ. აღ. 100 — ახ.წ. აღ. 100), რომლებიც სიგრძეში 50 მეტრზე ნაკლებია. A ტიპის გეოგლიფები ოდნავ გვიანდელია (ძვ.წ. აღ. 100 — ახ. წ. აღ. 300), არის უფრო პორტრეტული, სიგრძე კი 50 მეტრზე მეტია; ჯგუფის მიერ აღმოჩენილი უდიდესი გეოგლიფის სიგრძე 100 მეტრს აღწევს.





მკვლევართა აზრით, უდიდესი A ტიპის გეოგლიფები, რომლებსაც ხშირად ცხოველების ფორმები აქვთ, სარიტუალო ადგილები იყო, სადაც ხალხი ცერემონიებს ატარებდა; ამ დროს ამსხვრევდნენ სხვადასხვა სახის კერამიკის ჭურჭელს.

რაც შეეხება უფრო პატარა, B ტიპის გეოგლიფებს, ისინი ბილიკების გასწვრივ იყო გადაჭიმული და შესაძლოა, ორიენტირი იყო მოგზაურთათვის — სავარაუდოდ, A ტიპის ადგილებისაკენ, სადაც ხალხი იკრიბებოდა.

B ტიპის ზოგიერთი გეოგლიფი მართლაც პატარაა, ახლად აღმოჩენილთა შორის ყველაზე მცირე 5 მეტრის სიგრძისაა, რის გამოც მათი იდენტიფიცირება ამ დრომდე ვერ ხერხდებოდა.

სწავლების ქსელმა, სახელად WMLA, შეისწავლა დრონებისა და თანამგზავრების მიერ გადაღებული დიდი ოდენობით ფოტომასალა. მისი მიზანი იყო, ეხილა ნასკას ხაზების მსგავსი დამალული ნიშნები. სისტემამ დამთხვევა მართლაც აღმოაჩინა — ჰუმანოიდის მსგავსი, ორ ფეხზე მდგომი პატარა მკრთალი ფიგურა. მიუხედავად იმისა, რომ ამ უცნაური, უძველესი პერსონაჟის სიმბოლური მნიშვნელობა უცნობია, მკვლევართა განცხადებით, ის ბილიკის ახლოსაა გამოსახული და შესაძლოა, ორიენტირის როლს ასრულებდა მოგზაურებისთვის. ნებისმიერ შემთხვევაში, მიღწევა ნამდვილად დიდია — თანამედროვე ადამიანთა მიერ შექმნილმა მოწინავე სისტემამ უძველეს ადამიანთა მიერ შექმნილი გაურკვეველი სიმბოლური სისტემა აღმოაჩინა.

ნასკას ხაზების საიდუმლოს საბოლოოდ ამოხსნამდე ჯერ კიდევ შორია, მაგრამ იამაგატას უნივერსიტეტისა და IBM-ის ჯგუფი იმედიანად არის განწყობილი და კვლევებს აგრძელებს.

მომზადებულია yamagata-u.ac.jp-სა და ScienceAlert-ის მიხედვით.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲭᲐᲑᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓ II ᲢᲐᲮᲢᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲝᲛᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ დედოფალი ელისაბედ II თავისი უფროსი შვილის პრინც ჩარლზის სასარგებლოდ ტახტიდან შესაძლოა, უახლოესი 18 თვის განმავლობაში გადადგეს.

ტახტიდან გადადგომაზე ღიად საუბარი აკრძალულია, თუმცა მათი მტკიცებით, უფლებამოსილების გადაცემის პროცესი უკვე დაწყებულია.

დედოფალმა ტახტზე უარი შესაძლოა, 2021 წლის აპრილში თქვას, როცა მას 95 წელი შეუსრულდება. ანალოგიური ინფორმაცია 2017 წელსაც გავრცელდა.

ელისაბედ II ტახტზე 1953 წელს ავიდა. 2015 წელს ის გახდა მონარქი, რომელიც დიდ ბრიტანეთს ყველაზე დიდი ხანია, მართავს.

ᲔᲚᲩᲘᲡ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠ ᲨᲔᲕᲘᲬᲠᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲔᲜ

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ამერიკის ელჩს სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებენ. მას ბრალდება ერთდროულად სამმა ქალმა წაუყენა..

ნიკოლ ვოგელი, ჯანა სოლისი და ნატალი სეპტი აცხადებენ, რომ სონდლანდი მათ მუდმივად ავიწროებდა, თანხმობის გარეშე ჰკოცნიდა, ან ამის გაკეთებას ცდილობდა.

ქალების მტკიცებით, ინციდენტებს ადგილი მანამდე ჰქონდა, სანამ სონდლანდი ელჩის პოსტს დაიკავებდა. გორდონ სონდლანდი ტრამპის იმპიჩმენტის ფარგლებში დაწყებული გამოძიების ერთ-ერთი მთავარი მოწმეა. სექსუალური შევიწროების ბრალდებას ის კატეგორიულად უარყოფს.

ᲕᲐᲢᲘᲙᲐᲜᲨᲘ ᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲐᲐ

ᲠᲝᲛᲘᲡ პაპმა ფრანცისკემ აღიარა, რომ ვატიკანში კორუფციაა და ამ ფაქტს „სკანდალური“ უწოდა. ეს პაპის პირველი განცხადებაა, რომელშიც ვატიკანში კორუფციულ ფაქტებს ხმამაღლა და საჯაროდ აღიარებს.

„კორუფცია არსებობს, ეს ნათელია. დაკითხვებზე გამოჩნდება არიან თუ არა ისინი დამნაშავეები. ეს არის სიმახინჯე, რომელიც ვატიკანში ხდება“, — განაცხადა რომის პაპმა.



მისი თქმით, პაპის საქველმოქმედო ფონდის მიერ ლონდონის ცენტრში ძვირად ღირებული ქონების შეძენასთან დაკავშირებით, ვატიკანში გამოძიება მიმდინარეობს.

ჩემპიონთა ლიგა

კარლიტოს სარმა №2

მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გვირგვინოსანი „ლივერპული“ შარშან კინაღამ ჯგუფში ჩარჩა. იურგენ კლოპის გუნდი მერვედფინალში გაღწევას ბრაზილიელ მეკარე ალისონს უნდა უმადლოდეს, რომელმაც „ნაპოლისთან “ „ენფილდზე“ გამართული ბოლო ტურის მატჩის მიწურულს მკვდარი ბურთი აიღო.

ეს კლუბები წლეულსაც ერთ კვარტეტში მოხვდნენ და მერსისაიდელები კიდევ ერთხელ გაებნენ კარლო ანჩელოტის დაგებულ ტაქტიკურ ხაფანგში. დიახ, მას შემდეგ, რაც მეტოქეებმა ნისლიან ალბიონზე ამჯერადაც საზავო 1:1 გააფორმეს, ფავორიტის პლეი-ოფში გასვლას სერიოზული საფრთხე დაემუქრა — საამისოდ საკმარისია სეზონის აღმოჩენა „ზალცბურგმა“ ავსტრიაში „წითლები“ დაამარცხოს, ხოლო იტალიელებმა შინ უმოტივაციო აუტსაიდერ „გენკს“ სძლიონ.

დაგვეთანხმებით, მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარების სიუჟეტი სრულიადაც არ წარმოადგენს უტოპიურს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ პირველი წრის შეხვედრას, რომელიც ინგლისელებმა საკუთარ მინდორზე „რედ ბულის“ პატრონაჟით მოთამაშეებს გაჭირვებით მოუგეს — 4:3.

სხვათა შორის, ამავე გიგანტური კომპანიის მზრუნველ კალთას შეფარებულმა „ლაიფციგმა“ პროგრამა-მინიმუმი უკვე შეასრულა, თანაც — ზღაპრული ფინიშის წყალობით. მართალია, უკანასკნელ წუთამდე 32 წლის უდავოდ ტალანტ მწვრთნელ იულიან ნაგელსმანის შეგირდები გერმანიაში თითქმის განწირულნი იყვნენ ლისაბონის „ბენფიკასთან“, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ დროში შვედი ფორსბერგის დუბლით სატურნირო წინსვლისთვის საკმარისი ქულის აღება მაინც მოახერხეს — 2:2.

დღის მოვლენად შეგვიძლია მივიჩნიოთ გენიალური მესის მორიგი საქმენი საგმირონი — 1 გატანილი ბურთი, ორი საგოლე გადაცემა და, რაც მთავარია, საგაზაფხულო ეტაპზე „ბარსელონას“ მიერ ადგილის ვადამდე დაჯავშნა.

მნიშვნელოვანია კატალონიელთა ლიდერის პირადი რეკორდის დამყარებაც — დორტმუნდის „ბორუსია“ 34-ე მსხვერპლია, რომელსაც არგენტინელმა ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში თამაში ცენტრიდან განაახლებინა.

გიორგი შოთაძე

ტოკიო — 2020

ოთხი უცნობი

მომავალი ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირი მრავალ საინტერესოს ჰპირდება გულშემატკივარს, თუმცა, მას მოსაწყენად არც თამაშების დაწყებამდე 9 თვით ადრე სცალია, რადგან იაპონურ ბატალიებამდე გასამართავია ოთხწლეულის უმთავრესი კომპლექსური ფორუმის საკვალიფიკაციო რაუნდი, რომელიც დარჩენილი ოთხი საგზურის მფლობელს გამოავლენს.

ამ დღეებში შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში შესარჩევი მინი-ასპარეზობის წილისყრა მოეწყო, რომელმაც კონკურენტები ასე „დაახარისხა“.

ბელგრადი (სერბეთი).

„ა“ ჯგუფი. დომინიკა, ახალი ზელანდია, სერბეთი.

„ბ ჯგუფი. პუერტო რიკო, იტალია, სენეგალი.

კაუნასი (ლიეტუვა).

„ა“ ჯგუფი. ლიეტუვა, კორეა, ვენესუელა.

„ბ“ ჯგუფი. პოლონეთი, სლოვენია, ანგოლა.

სპლიტი (ხორვატეთი).

„ა“ ჯგუფი. გერმანია, რუსეთი, მექსიკა.

„ბ“ ჯგუფი. ტუნისი, ხორვატეთი, ბრაზილია.

ვიქტორია (კანადა).

„ა“ ჯგუფი. საბერძნეთი, ჩინეთი, კანადა.

„ბ“ ჯგუფი. ურუგვაი, ჩეხეთი, თურქეთი.

დავძენთ, რომ ერთწრიანი ბრძოლების ჩატარების თარიღი ჯერჯერობით უცნობია, ხოლო თითოეული კვარტეტის გამარჯვებულები ფინალურ მატჩში გაითამაშებენ სანუკვარ ლიცენზიას.

ვიტალი ჯაფარიძე

ინტერნეტიდან

ამბიციური ირინა

თუკი აქამდე უკრაინულ საფეხბურთო გუნდ „ვერესის“ არსებობის შესახებაც კი არ უწყოდით, ეს „შეცდომა“ შეგიძლიათ მალევე „გამოასწოროთ“ და აღიაროთ, რომ იგი მთელს ქვეყანაში ერთადერთი კლუბია, რომელსაც პრეზიდენტად ქალბატონი ჰყავს და თან, როგორც ჩანს, ეს ბანოვანი უბრალო ვინმე სულაც არაა.

ყოფილი და, ბულვარული მედიისთვის ერთ-ერთი მუდმივი „საკბილო“, მოდელი ირინა ტესლიუკი წლების მანძილზე საყვარელი სტრუქტურული ერთეულის დირექტორი იყო და რაკი რთული საფეხბურთო სისტემის მართვაში ნამეტნავად დიდი ნიჭი აღმოაჩნდა, მისმა მფლობელმა ლამაზმანის პრეზიდენტად დაწინაურება გადაწყვიტა.

ირინა ტესლიუკი ეტყობა, ამბიციური ადამიანიცაა და არცთუ სახელოვანი კლუბის ქომაგებს არწმუნებს, რომ წარმატებათა სერია სულ მალე დაიწყება. ყოფილი მოდელი იმასაც ამბობს, რომ დიდ ფინანსურ ინვესტიციას ელოდება და შორს არაა დრო, როდესაც „ვერესის“ სახელს მთელ მსოფლიოში გაიგებენ.

ბეჟან დოლიძე

სეზონის ფინიშზე

რჩეულთა გალერეა

სპორტული სეზონის ფინიშზე პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ თავის ვებ-გვერდზე, ტრადიციისამებრ, გამოაქვეყნა იმ მოთამაშეთა სია, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ წლის ლაურეატის სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებაზე. ვფიქრობთ, მათი გაცნობა ჩვენი გაზეთის მკითხველთათვისაც საინტერესო იქნება.

საუკეთესო ახალბედა: ფელიქს ოჟიე-ალიასიმი (კანადა), ალეხანდრო დავიდოვიჩი ფოკინა (ესპანეთი), მოიმირ კეჩმანოვიჩი (სერბეთი), კორენტინ მუტე (საფრანგეთი), ალექსეი პოპირინი (ავსტრალია), კასპერ რუუდი (ნორვეგია), ATP-ის ახალგაზრდული შემაჯამებელი ტურნირის მომგები იანიკ სინერი (იტალია), მიქაელ იმერი (შვედეთი).

ყველაზე პროგრესირებადი მოთამაშე: ფელიქს ოჟიე-ალიასიმი (კანადა), დანიილ მედვედევი (რუსეთი), მატეო ბერეტინი (იტალია), სტეფანოს ციციპასი (საბერძნეთი).

წლის დაბრუნება: ანდრეი რუბლიოვი (რუსეთი), ენდი მარეი (დიდი ბრიტანეთი), ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი), სტენ ვავრინკა (შვეიცარია).

სტეფან ედბერგის სახელობის წლის ჯენტლმენის პრიზი: მისი 13-გზის მფლობელი როჯერ ფედერერი (შვეიცარია), რაფაელ ნადალი (ესპანეთი), დიეგო შვარცმანი (არგენტინა), დომინიკ ტიმი (ავსტრია).

დავძენთ, რომ რჩეულთა ვინაობას დეკემბერში შევიტყობთ.

კობა კობახიძე

64

„თუკი ამდენს ვისწავლი წაგებული პარტიების წყალობით, მზად ვარ კვლავ წავაგო“.

ხოსე რაულ კაპაბლანკა.

ჭადრაკი ბაღში

თამაშობენ ძმები ნიკა და საბა ზამბახიძეები

ეს გამონათქვამი შემახსენა თბილისში ცნობილმა ბუკიას ბაღმა, რომელიც ყოველთვის ხალმხმრავლობით გამოირჩევა. ვის არ ნახავთ ამ წალკოტში — ცნობილ მეცნიერებსა და ხელოვანებს, პედაგოგებს, ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებს და ახალგაზრდობას. ყველა რამეთი ირთობს თავს — შედარებით ხნიერები დომინოს და ნარდს თამაშობენ, ხოლო ახალგაზრდები ჭადრაკს უფრო ეტანებიან. არა მარტო თამაშობენ, ანალიზსაც უკეთებენ ნათამაშევ პარტიებს.

„ჭადრაკის ჭეშმარიტება უფრო იდეებშია, ვიდრე ვარიანტებში“ — ამბობდა ლეგენდარული რიხარდ რეტი.

როდესაც ახალგაზრდების თამაშს ვადევნებ თვალს და მათ მსჯელობას ვუსმენ, ამ გამონათქვამის ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ ვრწმუნდები. აი, ისინიც: **ნონას პრიზის მფლობელი საუკეთესო პარტიისთვის თემურ მინდიაშვილი, .გოგა წულაია, რამაზ მჭედლიშვილი, რამაზ ბოჯგუა. მურმან სამხარაძე** ერთი იმათთაგანია, რომელიც ყურადღებას არ აკლებს ახალგაზრდებს. მისი დევიზია — გვერდში დგომა და ხელშეწყობა.

აღსანიშნავია მევლუდ სანდუხაძე, რომლის ინიციატივითაც გასული საუკუნის ავბედით 90-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა მოჭადრაკეთა თავშეყრის ამ შესანიშნავ ადგილს.

ვუყურებდი და მიხაროდა, რომ ეს ის ახალგაზრდობაა, რომელმაც ხვალინდელი დღის ფასი იცის და არასდროს იკადრებს იმ უკადრებელს, რასაც დღეს არცთუ იშვიათად ვხედავთ ზოგიერთი მათი თანატოლის მოქმედებით. ამჯერად გთავაზობთ ე. წ. „უკვდავი ამოცანის“ ავტორის კონრად ბაიერის (1828-1897) კომპოზიციას, რომელმაც დიდ ბრიტანეთში 1856 წელს გამართულ პირველ კონკურსში გაიმარჯვა.

რასაცა გასცემ, შენია...

„ლდე ერა“ (1856), I პრიზი

(ე. წ. უკვდავი ამოცანა)



შამათი 9 სვლაში

1. ეb7! ლხb7 2. ა:g6+ მეg6 3. ლg8+ მე:f5 4. ლg4+ მეe5 5. ლh5+ ეf5 6. f4+ ა:f4 7. ლ:e2+ ა:e2 8. ეe4+ de 9. d4X! (შამათი)

შენიშვნა: თეთრების წირავენ ექვს ფიგურას და დარჩენილი უკანასკნელი პაიკით აშამათებენ შავების მეფეს.

თამაზ შენგელია

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი +995 32 243 95 02

ბრძანება

№151/ს
28/11/2019

151-21-4-201911281038

ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17, მე-18 და მე-19 მუხლების, „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 6 თებერვლის N21 დადგენილების, „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის საწყისი ფასისა და დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მაისის N1110 განკარგულების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 04 თებერვლის N1080 წერილის, „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი, მე-2, მე-4, მე-5 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული სარგებლობის ლიცენზიების გაცემის საკითხების განმხილველი უწყებათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის N247დადგენილების შესაბამისად უწყებათაშორისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს აუქციონის ჩატარებისათვის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი N1-ის შესაბამისად;
2. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი N1-ის შესაბამისად;
3. ელექტრონული აუქციონი ჩატარდეს ინტერნეტგვერდის – www.eauction.ge-ს მეშვეობით;
4. ბიჯის სიდიდე განისაზღვროს საწყისი ფასის 10 %-ის ოდენობით;
5. დაევალოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ინფორმაციის გამოქვეყნება ცენტრალურ პრესაში აუქციონის გამართვამდე არა უგვიანეს ერთი თვისა;
6. აუქციონის ჩატარება ეთხოვოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - მომსახურების სააგენტოს;
7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის დასრულებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში შესაბამის ანგარიშზე ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით შეიტანოს ის ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო/შემოთავაზებულ ფასს;

ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6.), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ანდრო ასლანიშვილი
სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დანართი N1

დამტკიცებულია
სსიპ - გარემოს ეროვნული
სააგენტოს უფროსის
2019 წლის 28/11
N151/ს ბრძანებით

ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57
3	ელ–ფოსტა	info@nea.gov.gemailto:Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის ფარგლებში ყოველწლიურად თეთრყვავილას ბოლქვების მოპოვების დაწყებამდე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარმოადგინოს იმ ტერიტორიების x y კოორდინატებისა და შესაბამისი ნაკვეთის წერტილოვანი და პოლიგონური ფენის Shp-ფაილები UTM კოორდინატთა სისტემაში. ასევე, ვალდებულია წარმოადგინოს: შემსრულებელი პირის მიერ ხელმოწერილი ზემოაღნიშნული ნაკვეთის სიტუაციური გეგმა, საიდანაც მიმდინარე წელს უნდა მოიპოვოს თეთრყვავილას ბოლქვები, ინფორმაცია ამ ტერიტორიებიდან თეთრყვავილას მოსაპოვებელი ოდენობის შესახებ და რესურსის მოპოვების მიახლოებითი გრაფიკი კონკრეტული უბნების მიხედვით; ბ) მოპოვების გრაფიკში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში ინფორმაცია ელექტრონული ფოსტის საშუალებით უნდა მიეწოდოს სამინისტროს და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს გ) ბოლქვების მოპოვების და ექსპორტის შემდეგ, ყოველი წლის არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა, ლიცენზიის მფლობელის მიერ სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქნას ანგარიში, რომელიც მოიცავს ინფორმაციას განხორციელებული ქმედებების შესახებ, მათ შორის ქვეყნის შიგნით განხორციელებული ქმედებების (ინფორმაცია მოპოვების მეთოდის, ბოლქვების შენახვის, დახარისხების, გაშრობის, ტრანსპორტირების, დასაქმებული პირების ოდენობისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის, მოპოვების ტერიტორიების, მოპოვების თარიღის/პერიოდის შესახებ, ასევე, სასაქონლო და არასასაქონლო ზომის ბოლქვების ფაქტობრივად მოპოვებული ოდენობების შესახებ) თაობაზე. ანგარიშს უნდა დაერთოს შესაბამისი ფოტომასალა (მათ შორის მოპოვების ამსახველი). დ) ლიცენზიანტი, არაუგვიანეს 2020 წლის პირველი აპრილისა უნდა ფლობდეს ბოლქვების რეალიზაციისათვის მოსამზადებლად საჭირო ინფრასტრუქტურას: ბოლქვების სათვლელ და კალიბრაციის დანადგარებს, ბოლქვების შესანახად ვარგის სათავსოს, რომელშიც შესაძლებელი იქნება საჭირო ტემპერატურისა და ტენიანობის შენარჩუნება; ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით სამინისტროსა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს წლიური ანგარიში.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თეთრყვავილას მოპოვება განხორციელდეს საქართველოს მთელი ტერიტორია გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და დაცული ტერიტორიებისადა ასევე 2008-2009, 2014 და 2018 წლებში განხორციელებული კვლევების შედეგად დადგენილი დანართი N1–ის შესაბამისად აკრძალული ადგილებისა, 5 (ხუთი) მილიონი ბოლქვის თეთრყვავილას მოპოვება.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საქართველოს მთელი ტერიტორია გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და დაცული ტერიტორიებისადა ასევე 2008-2009, 2014 და 2018 წლებში განხორციელებული კვლევების შედეგად დადგენილი დანართი N1–ის შესაბამისად აკრძალული ადგილებისა;
8	აუქციონის საწყისი ფასი	5 (ხუთი) მილიონი ბოლქვის საწყისი სააუქციონო ფასი განისაზღვროს 400000 (ოთხასიათასი) ლარის ოდენობით.
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	40000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 100 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	40100 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 01 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 29 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 30 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 30 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

იხ. 12 გვ.


რუსეთის ფედერაცია
შავი ზღვა
საქართველო
თბილისი
თურქეთი
სომხეთი
აზერბაიჯანი
4636500
4636000
4635500
N
W
E
S
0
250
500
1,000
1,500
250500
251000
251500
252000


რუსეთის ფედერაცია
შავი ზღვა
საქართველო
თბილისი
თურქეთი
სომხეთი
აზერბაიჯანი
4628400
4628200
4628000
N
W
E
S
0
250
500
მეტრი
471000
471200
471400
471600


რუსეთის ფედერაცია
შავი ზღვა
საქართველო
თბილისი
თურქეთი
სომხეთი
აზერბაიჯანი
4623600
4623400
4623200
4623000
4622800
N
W
E
S
0
250
500
1,000
253400
253600
253800
254000
254200
254400
254600
254800


რუსეთის ფედერაცია
შავი ზღვა
საქართველო
თბილისი
თურქეთი
სომხეთი
აზერბაიჯანი
4624500
4624000
4623500
4623000
N
W
E
S
0
250
500
1,000
1,500
2,000
06. 14 83.
255000
255500
256000
256500
257000
257500



2008-2009 წლებში განხორციელებული პროექტის "საქართველოში Galanthus woronowii და Cyclamen coum-თან მიმართებით CITES-ის დანერგვის გაუმჯობესება" შედეგად დადგენილი აკრძალული ადგილები

№	უბნის დასახელება	რეგიონი	რაიონი	სოფელი/ადგილი	გეოგრაფიული კოორდინატები	ფართობი (ჰა)
1	აჭარა, ქედა, სოფ. ნამლისევის მიმდებარედ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	ქედა	ფოთოლმცვენი ტყე	1 კმ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,5525 41,8176	30
2	აჭარა, ქედა, სოფ. ქოსოფელის მიმდებარედ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	ქედა	ფოთოლმცვენი ტყე	500 მ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,5412 41,8039	1
3	გურია, ჩოხატაური, სოფ. ზოტის მიმდებარედ	გურია	ჩოხატაური	ფოთოლმცვენი ტყე	1 კმ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,8977 42,4399	20
4	მცხეთა-მთიანეთი, მცხეთა, სოფ. ნატახტარის მიმდებარედ	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა	ფრაგმენტირებული ჭალის ტყე	500 მ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,5662 42,0160	6
5	იმერეთი, ხარაგაული, ნიშნული ნაფიცარა	იმერეთი	ხარაგაული	ფოთოლმცვენი ტყე. ტერიტორია მდებარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მოსაზღვრედ	500 მ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,9592 43,1369	3
6	იმერეთი, ხარაგაული, სოფ. ნუნისის მიმდებარედ, ნიშნული საქუბარი	იმერეთი	ხარაგაული	შერეული ტყე. ტერიტორია მდებარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მოსაზღვრედ	500 მ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,9864 43,1461	1,2

იხ. 15 გვ.

2014 წელს განხორციელებული პროექტის "*Galanthus woronowii*-ს მდრადი კვოტის დადგენა" შედეგად დადგენილი პოპულაციები, სადაც უნდა აიკრძალოს ბოლქვების მოპოვება

№	უბნისდასახელება	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	ჰაბიტატი	გეოგრაფიულიკოორდინატები*	ფართობი (ჰა)
1	ბათუმის ბოტანიკური ბაღი-1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციული ზონა	ბამბუკების პლანტაცია	360მ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,702 41,718	13
2	ბათუმის ბოტანიკური ბაღი-2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციული ზონა	კავკასიური სექტორი და ევკალიპტების პლანტაცია	310მ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,6995 41,7198	9
3	ბათუმის ბოტანიკური ბაღი-3	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციული ზონა	ციტრუსების პლანტაცია	250მ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,697 41,7147	6
4	სოფ. სახალვაშოს მიდამოები (ამჟამად შესულია ბათუმის ბოტანიკური ბაღის შემადგენლობაში)	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციული ზონა	კოლხური ტყის ფრაგმენტი, ციტრუსის პლანტაცია	210მ რადიუსში წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: 41,6945 41,7149	6

*მოცემულია უბნის ერთი წერტილის კოორდინატი; თითოეული უბნის საინდიკაციო საზღვრები მოცემულია ცალკე გის-ფაილში

სანთელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს საინჟინრო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ღირსების ორდენის კავალერი, პუბლიცისტი

ვალერიან (სულიკო) როგავა

და თანაგრძობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტექნიკურმა ინტელიგენციამ და სპორტულმა სამყარომ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა გამოჩენილი სპორტსმენი, საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი

ვალერიან (სულიკო) როგავა.

ბატონი სულიკოს ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ახლობლების, მეგობრების და კოლეგების გულში.

ა. ფრანგიშვილი, ზ. გასიტაშვილი, ლ. კლიმიაშვილი, დ. გურგენიძე, ა. აბშილავა, გ. გაბესკირია, ო. წეროძე, გ. აბდუშელიშვილი, ი. გორგიძე

ზუგდიდში „ჯიპი" აფეთქდა

ზუგდიდი-თბილისის ავტომაგისტრალის ჭითაწყარის მონაკვეთზე „ჯიპის" მარკის ავტომანქანა გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და სახლის ეზოში შევარდა, რის შემდეგაც მალევე აფეთქდა.

ადგილზე დაიღუპა ავტომობილის მძღოლი, 1978 წელს დაბადებული მამაკაცი.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებულია საპატრულო პოლიცია.

გვართა შორის კონფლიქტი პანკისში

პანკისის უხუცესთა კავშირის თავმჯდომარე არ გამორიცხავს, რომ ქავთარაშვილებისა და მუთოშვილების შესარიგებლად ჩეჩნეთიდან და ინგუშეთიდან უხუცესების მოწვევა გახდეს საჭირო.

ზელიმხან წუწაშვილმა „ქრონიკასთან" თქვა, რომ გვარებს შორის შერიგებაზე საუბარი ამ ეტაპზე მართალია, ნაადრევია, თუმცა უხუცესები უახლოეს დღეებში მაქსიმალურად შეეცდებიან, რომ დაპირისპირება და სისხლისღვრა თავიდან აიცილონ.



„ჩვენი წესების მიხედვით, სისხლის აღება მოხდება მხოლოდ იმ პირის მიმართ, ვინც იარაღიდან გაისროლა და ადამიანი მოკლა. შერიგების შედეგი თუ დადგა, ამ დროს, დამნაშავეს ე.წ. შინაპატიმრობა მიესჯება და სახლიდან სხვა სოფელში გადაადგილება გვარის უფროსთან შეთანხმების შემდეგ შეეძლება", – აცხადებს უხუცესთა კავშირის თავმჯდომარე.

პანკისის ხეობაში დაპირისპირების დროს 38 წლის მისური მუთოშვილი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. ახმეტის რეფერალურ საავადმყოფოში რჩება კონფლიქტის დროს დაჭრილი სამი პანკისელი.

ყველაზე საშიში ტერორისტი სიკვდილით დასაჯეს

ეგვიპტეში სამხედრო ტრიბუნალმა ყველაზე საშიში ტერორისტი სიკვდილით დასაჯა. ადგილობრივი მედიის ცნობით, ხაშიმა აშმაუის განაჩენი გუშინ მოიყვანეს სისრულეში. ის სამართალდამცველებმა 2019 წლის ოქტომბერში დააკავეს ლიბიაში, ხოლო მაისში მისი ეგვიპტეში ექსტრადირება მოხდა.

ეგვიპტური მედია აშმაუის ყველაზე საშიშ ტერორისტს უწოდებს. ადრე ის ქვეყნის ელიტარულ ჯარში მსახურობდა. შემდეგ კი რადიკალური შეხედულებების მომხრეების მხარდამჭერი გახდა და ტერორისტულ დაჯგუფებებს შეუერთდა.

ის მსხვილი ტერაქტების მოწყობაში იყო ეჭვმიტანილი. ერთ-ერთია 2017 წლის ოქტომბერში მომხდარი ტერაქტი, რომლის დროსაც 16 სამხედრო დაიღუპა.

ხაშიმა აშმაუი ასევე იყო ტერორისტული დაჯგუფება „ბეიტ ალ-მაქდის" ერთ-ერთი შემქმნელი, რომელიც შემდეგ „ისლამურ დაჯგუფებას" შეუერთდა. ასევე ეს დაჯგუფება თანამშრომლობდა „მურაბითუნთან", რომელიც „ალ-ქაიდას" ერთ-ერთი განშტოება იყო.

კვიპროსის მთავრობამ 26 ადამიანს მოქალაქეობა ჩამოართვა

კვიპროსის მთავრობამ 26 ადამიანს, რომლებმაც კვიპროსის პასპორტები ინვესტიციების სანაცვლოდ მიიღეს, მოქალაქეობა ჩამოართვა. კერძოდ, კვიპროსის პასპორტი ჩამოერთმევა ათ რუსს, რვა კამბოჯელს, ხუთ ჩინელს, ორ კენიელს და ერთ მალაიზიელს. იმ რუსებს შორის, რომლებსაც მოქალაქეობა ჩამოერთვათ, ვლადიმირ პუტინთან დაახლოებული მილიარდერი ოლეგ დერიპასკა და მისი ოჯახის წევრები არიან. დერიპასკას აშშ-ის მხრიდან სანქციები აქვს დაწესებული.

კვიპროსი ქვეყნის ეკონომიკაში ჩადებული ინვესტიციების სანაცვლოდ მოქალაქეობას 2013 წლიდან ანიჭებს. აღნიშნული წესების თანახმად, ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეობის მიღება ორ მილიონ ევროზე მეტი ოდენობის ინვესტიციის სანაცვლოდ ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ ევროკომისიის მხრიდან კრიტიკის შემდეგ მალტის ხელისუფლებამ მოქალაქეობის მინიჭების წესები გაამკაცრა.

მიმდინარე წლის დასაწყიში ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ მალტა, კვიპროსი და ბულგარეთი ევროკავშირის ის წევრები არიან, რომლებიც მოქალაქეობას ყიდიან.

რედაქცია

„საქართველოს რესპუბლიკაში"

ჩიქობავას ქ. №42/5. 599 79-76-79; 568 82-09-84

„ჯორჯიან თაიმსის“ ბიზნეს რეიტინგის გამარჯვებული ცნობილია

„შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში“ „ჯორჯიან თაიმსისა“ და კომპანია „გორბის“ მიერ ორგანიზებული, რიგით XX ბიზნეს რეიტინგის საიუბილეო საღამო და გალა ვახშამი გაიმართა.

ტრადიციულად მედიისა და საზოგადოების თანდასწრებით, ექსპერტების მიერ შერჩეული საუკეთესო კომპანიები დასახელდა.

საუკეთესოთა შორის საუკეთესო კომპანია ღონისძიების მსვლელობისას, კენჭისყრის საფუძველზე დასახელდა.

XX ბიზნეს რეიტინგის საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში გამოვლენილი, გამარჯვებული კომპანია და გრან პრის მფლობელი **„ჯორჯიან პროდაქტსი“** გახდა.

„მნიშვნელოვანი და მოულოდნელი გამარჯვება იყო. რა თქმა უნდა, ეს ბიზნეს კოლეგების მხრიდან ძალიან დიდი აღიარებაა.

ეს ღონისძიება უკვე ტრადიციად იქცა ქართულ ბიზნესში. საიუბილეო მეოცე წელია უკვე და თვითონ ეს წლებიც აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. დიდი მადლობა ღონისძიების ორგანიზატორებს, „ჯორჯიან თაიმსსა“ და „გორბს“ პატიოსანი არჩევნებისთვის“,- განაცხადა **„ჯორჯიან თაიმსთან“** საუბარში **„ჯორჯიან პროდაქტსის“** დამფუძნებელმა **დავით ბარდაველიძემ**.

მხატვრულად განათებული კლდე

„თბილსერვის ჯგუფმა“ მხატვრული მინათების კიდევ ერთი პროექტი განახორციელა. ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს.

სამუშაოების ფარგლებში, კოსტავას ქუჩაზე კლდე მხატვრულად განათდა, მოეწყო განათების ახალი ქსელი და დამონტაჟდა 35 ერთეული სანათი მოწყობილობა.

სამუშაოებს, „თბილსერვის ჯგუფის“ გარეგანათების საექსპლუატაციო სამსახურის მხატვრული მინათების განყოფილების 15 სპეციალისტი ასრულებდა.

ბულვარში საახალწლოდ შუა ხეივანი განათდება

ბათუმის ბულვარი საახალწლოდ სხვადასხვა სახის მანათობელ კონსტრუქციებსა და აქსესუარებს ყიდულობს. ბულვარმა ლამპების, სანათების და ნაძვის ხის ნათურების შესაძენად ტენდერი უკვე გამოაცხადა, - აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი ავრცელებს.

ბათუმის ბულვარის ადმინისტრაცია მზადაა, კომპანიას, რომელიც საშობაო ირმებს, დეკორატიულ ანგელოზებს, დეკორატიულ ვარსკვლავებს, დელფინებს, გირლეანდებს, მანათობელ ბაფთებს და ნაძვის ხის ლითონის კონსტრუქციის ბაქანს შესთავაზებს, 352 972.00 ლარი გადაუხადოს.

ბათუმის ბულვარში ამბობენ, რომ ვინაიდან წელს ქალაქის მთავარი ნაძვის ხე ბულვარში განთავსდება და მთავარი ლოკაციაც იქ იქნება, განათებების დამატება გახდა საჭირო. გასულ წლებში მხოლოდ ბულვარის ცენტრალური შესასვლელის მორთვა ხდებოდა.

ახალი დეკორატიული განათებები ძირითადად შუა ალეაში განთავსდება.

კარგი და ცუდი საუზმე

ავსტრალიელმა დიეტოლოგმა სიუზი ბარელმა ის პროდუქტები დაასახელა, რომელთა მიღებაც საუზმეზე რეკომენდებული არ არის.

მისი თქმით, სასურველი არ არის დღის დაწყება პიტას ჭამით, რადგან ამ გემრიელ ნამცხვრებში ბევრი ნახშირწყალია, რაც სისხლში შაქრის დონეს ზრდის. 100 გრამ პიტაში 60-დან 80 გრამამდე ნახშირწყალია.

ასევე საუზმეზე არ არის რეკომენდებული ტკბილი ხრაშუნა მარცვლეულის ჭამა. ისინი მცირე რაოდენობით შეიცავენ დიეტურ ბოჭკოვანს - მას დადებითი გავლენა აქვს მომნელებ სისტემაზე. ეს საკვები განსაკუთრებით მავნე ბავშვებისთვის არის. დიეტოლოგის თქმით, ბავშვები, რომლებიც ხრაშუნა მარცვლეულით საუზმობენ, დილით ტკბილეულის ჭამას ეჩვევიან.

ამის ალტერნატივად დიეტოლოგი უშაქრო მარცვლეულის ჭამას სთავაზობს, ცოტა თაფლის და კენკრის დამატებით. კარგ საუზმედ მიიჩნევა ასევე ტოსტი ბეკონით ან ბოსტნეულით.

ხველების დროს ნეკნები მოიტეხა

ჩინეთში ახალგაზრდა ქალმა ხველების შედეგად ნეკნების მოტეხილობა მიიღო. 20 წლის გოგომ, რომელიც ასთმით იყო დაავადებული, ძლიერი ხველების შედეგად 10 ნეკნი მოიტეხა.

როგორც ექიმებმა დაადგინეს, პაციენტს კალციის, ფოსფორისა და D ვიტამინის კრიტიკული დეფიციტი აღენიშნებოდა, რამაც ძვლების სიმკვრივის დაქვეითება გამოიწვია. D ვიტამინის ნაკლებობა, სავარაუდოდ, მზის საწინააღმდეგო საცხების ხშირი მოხმარებით იყო გამოწვეული, რამაც ულტრაიისფერი სხივების ბლოკირება გამოიწვია.

პროცესს ხელი იმანაც შეუწყო, რომ ის ქუჩაში იშვიათად გადიოდა, რადგან სურდა, რომ ღია ფერის კანი ჰქონოდა.

ჩამოაგდეს ნარკოტიკებით დატვირთული თვითმფრინავი

ვენესუელის შეიარაღებულმა ძალებმა ნარკოტიკებით დატვირთული თვითმფრინავი ჩამოაგდეს, რომელიც ქვეყნის საჰაერო სივრცის გადალახვას ცდილობდა.

ეს არის ნარკომაფიის მესამე თვითმფრინავი, რომელიც 2019 წლის ნოემბერში ჩამოაგდეს. მანამდე ინციდენტები 17 და 19 ნოემბერს მოხდა.

ჯერ კიდევ 2013 წელს ვენესუელის პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ განაცხადა, რომ დამტკიცდა საკანონმდებლო ნორმა, რომლის თანახმად, ნარკომაფიის თვითმფრინავის განეიტრალება უპირობოდ არის შესაძლებელი.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9754; ევრო - 3.2750;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8326;
100 რუბლი - 4.6504; თურქული ლირა - 0.5164;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7505;
1000 სომხური დრამი - 6.2469

ამინდი 29 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+14
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+11
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+20
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+16
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge